„წლის კონკია“ – გამოკითხულ რესპონდენტთა ნაწილმა ამ ნომინაციის კანდიდატა შორის, საქართველოს პრეზიდენტის მეგობარი ქალბატონი, მაკა ჩიჩუა დასახელა იმ მიზეზის გამო, რომ მარგველაშვილის გაცნობამდე ქალბატონი მაკა ვიზაჟისტად მუშაობდა. ახლა

კი გაუმართლა და ლამის პირველი ლედი გახდა... ამ ნომინაციაში უპირობო ლიდერი პარლამენტის წევრი, ყოფილი ჟურნალისტი ელისო ჩაფიძე გახლავთ. ხალხის აზრით, მას ძალიან გაუმართლა: შარშან პარლამენტის წევრი გახდა და მისი მაჭანკლობა არც მეტი, არც – ნაკლები, ბიძინა ივანიშვილმა იკისრა. სწორედ ამიტომ, ხალხმა ბატონ ბიძინას „წლის ხანუმა“ უწოდა, თუმცა ყოფილი პრემიერის სახელს მხოლოდ ამ ნომინაციაში არ გაიგონებთ.

„წლის რწყილი“ – ეს ნომინაცია კანდიდატების სიმცირეს არ უწიფის, რადგან არაერთი პოლიტიკოსი გვყავს, რომელიც პარტიიდან პარტიაში „დახტის“. ხალხის აზრით, ამ ნომინაცია ყველაზე მეტად, „ქართულ ოცნებაში“ „გადამხტარი“ პოლიტიკოსები იმსახურებენ. მათ შორის არაა ისევე თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი და ამჟვე საკრებულოს წევრი ზაზა გაბუნია.

„წლის ნაცებშია“ – ეს სახელი, ხალხის აზრით, ყველაზე მეტად, საპარლამენტო უმცირესობის წევრს, გოგა ხანიძეს „უხდება“, რადგან მუდმივად ყვირის, რეპლიკას ისვრის, მაგრამ რეალურად არაფერს აკეთებს. ბატონი გოგას ვარდა, ამ ნომინაციაში პარტიიდან წასული, მაგრამ შესანახი შეიღების გამო, კვლავ პარლამენტის წევრი კობა დავითაშვილი და ყოფილი მთავარი პროკურორი, არჩილ კობლაშვილიც დასახელდნენ. ხალხის თქმით, ბატონ კობას სხვა პრობლემა არ აწუხებდა და კანონპროექტებს პრეზერვატივის აკრძალვაზე ვერდა; ითხოვდა, რომ პარლამენტარები სხლმას ეროვნული ტანსაცმლით შემოსილები დასწრებოდნენ, ეს კი ნამდვილად ნაცრის ქექვაა... არჩილ კობლაშვილს კი მთელი წლის განმავლობაში პროკურატურაში არაფერი გაუკეთებია და ნაცრის ქექვა სხვას აბა, რას ნიშნავსო? – ამბობს ხალხი.

„წლის ლუარსაბ თათარაძე“ – ეს ნომინაცია უპირობოდ, გუბაზ ხანიკიძეს მიანიჭეს. როგორც ხალხმა განგვიმარტა, ბატონი გუბაზი ლუარსაბად მონათლეს არა იმიტომ, რომ მსუქანია, არამედ იმიტომ, რომ სულ თვლემს და არაფერს აკეთებს.

„წლის შერლოკ ჰოლმსი“ – თვა წულუკიანია, მაგრამ ეს რამდენად გამოსდის, სხვა საკითხია, – გვითხრა ერთ-ერთმა რესპონდენტმა. მსახიობმა ზუზუ ბუჯაშვილმა კი გაგვანდო: შერლოკ ჰოლმსის როლს სიამოვნებით შეგასრულებდი, თუმცა არ ვიცი, ამ პერსონაჟს რამდენად მამსგავსებო.

„წლის ბურატილი“ – ამ ნომინაციაში მხოლოდ ერთი კანდიდატურა, პარლამენტარი ზურაბ აბაშიძე დასახელდა. მართალია, მას არც ისე დიდ ცხვირს აქვს, მაგრამ რატომღაც, ამ გმირს მაინც მაიმსგავსებს.

„წლის სამი მუშაპატირი“ – ეს ნომინაცია სამი მთავარ პერსონაჟს გადააწავილეს, რომლებიც დღეს ყველაზე აქტუალურები არიან: ირაკლი ღარიბაშვილი, გიორგი მარგველაშვილი და ირაკლი ალასანიძე. დარტანიანად კი ბიძინა ივანიშვილი დასახელდა.

„წლის ივანე“ – ამ ნომინაციის ლიდერი შალვა ნათელაშვილი გახლავთ. საზოგადოების აზრით, ის მუდმივად კომბლეს თლის, ჭერში აწყობს და დიდი სურვილი აქვს, რომ ვინც გააბრაზებს, თავში ჩასცხოს. ის კომბლით

გამოწინდა თეთრი სახლისა და ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციის წინ.

„წლის ღათა თუთაშხია“ – ჭაბუა ამირეჯიბის ნაწარმოების მთავარი გმირის ხასიათს საზოგადოება ბიძინა ივანიშვილში ხედავს, რადგან ის სამართლის აღდგენას მუდმივად გვიპრდებოდა. ამ ნომინაციაში მის მიერ შემკვიდრედ დატოვებული „პრემიეროვინი“ (როგორც ერთ-ერთი გადაცემის წამყვანი უწოდებს), ირაკლი ღარიბაშვილიც დაასახელეს, რომელიც წინამორბედზე უფრო მეტი სიმკაცრით გამოირჩევა.

„წლის მუხამუხანაზი“ – ვერა ქობალია და ხათუნა კალმახელიძე. მართალია, ამ ორი ექსპრეზიდენტის მუშაობით საზოგადოება აღზარდვნილი არ არის, მაგრამ გარეგნობით მართლაც გამოირჩეოდნენ. ეს ორი ქალბატონი ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ ტელეეკრანზე აღარ გამოჩნდია.

ჩვენს მიერ გამოკითხული ადამიანებისგან საყვედურებიც მივიღეთ. ერთ-ერთმა მათგანმა გვითხრა: „წლის ლურჯ მელაზე“ რატომ არაფერი გვეთხენო? ამ ნომინაციაში მარიამ საჯიას დასახელდა. მეორე რესპონდენტმა კი გულწრფელად გაკვირვებულმა გვითხრა: „ფუფალა“ რატომ დაგავიწყდათ? ამ ნომინაციაში ფიქრია ჩიხრაძე გაიმარჯვებდა. მოკლედ, ზღაპრების პერსონაჟებსა და ლიტერატურულ გმირებს რა დალევს, დანარჩენებზე მომავალ წელს ვისაუბროთ. მანამდე კი, ჩვენს მხარულ სტატის ისევე დავით კვინიკაძის მიერ ექსპრომტად შექმნილი ლექსით დავასრულებთ:

„შრომობდა, როგორც ჭინჭველი, ასე აშენა რაბათი, მერე ციხეში ჩავარდა, ცოლდა წაიღო ამათი. აქ ჭიბებრა გამოხტა, მაგაში მეც მაქვს წილიო, ისე დაეძვბს სამართალს, ვით ღორის ჯაგარს – რწყილიო. ვით ჭიანჭველა და რწყილი, გუბად მიდიოდნენ კაცები, განიკაცა და ზურგიც, იყვნენ ბობოლა „ნაცები“... პატარაა და მოქნილი, ნაცარქექიას მაგონებს, ხან ბადრის, ხან – ასლან ბაბუს, ხან თვით მიშასაც „აბოლებს“. ამ თარგამაძე გიორგის უნდოდა პირველკაცობა, ხალხმა გაშიფრა, გაუგეს, მას შინაგანი „ნაცობა“.

თ. კვიციანი, კმ
ბ. ძიმიძე

ჯალალონია-ჯალალანიების გვარის დალოცვა

2014 წლის 25 მაისს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II დალოცავს ჯალალონია-ჯალალანიების გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა). რისთვისაც „ლიბერთი ბანკში“ გახსნილია ანგარიში. მფო 220101480 ანბ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალალანიას სახელზე). მნიშვნელოვანია, ყველა ჯალალონია-ჯალალანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასახუტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: 599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალალანიას).

საუკუნოვანი ასაკს მიახლოებული დიდი მეცნიერი



ცნობილი ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი, პოლიტოლოგი, გეოპოლიტოლოგი კლიმენტი ივანეს ძე შელია ცხოვრების 92-ე წლის აღმართს შეუდგა. წლებისა და თავაუღებელი ტიტანური შრომისაგან დამძიმებული მსოფლიო მეცნიერების "მახეში" კვლავაც მხნედ, ლაღად, ახალგაზრდული შემართებით იკვლევს გზას მსოფლიო მეცნიერების ლაბირინთებში...

კლიმენტი შელია დაიბადა 1923 წლის 7 იანვარს, წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოში. დაამთავრა წალენჯიხის პედაგოგიური სასწავლებელი - 5 პროცენტის ფარგლებში და უკამოცდოდ ჩაირიცხა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1947 წელს.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაინიშნა საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელად. შემდგომში, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს დამდგენილებით, ადგილობრივი კადრების მომზადების ვეგმის შესაბამისად, ბატონი კლიმენტი მივლინებულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, სადაც უკონკურსოდ უნდა ჩაირიცხულიყო, მაგრამ მაინც მიიღო მონაწილეობა კონკურსში, სადაც დამაჯერებლად გაიმარჯვა და ჩაირიცხა. ასპირანტურაში სწავლის დროს პარალელურად მუშაობდა კათედრის სასწავლო კაბინეტის გამგედ, ასისტენტად, 1952 წლიდან კი - ლექტორად.

1953 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და კათედრაზე დაინიშნა დოცენტად, 1970 წლიდან კი არის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი. 1953 წელს სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატმა კანკორორულად მოითხოვა კლიმენტი შელიას ინსტიტუტში დაბრუნება, რაც განხორციელდა კიდევ.

1953-1959 წლებში მუშაობდა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1960 წლიდან - ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, შეთავსებით მუშაობდა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, ასევე, შეთავსებით მუშაობდა თბილისის, 1997 წლიდან კი სოხუმის (თბილისში მდებარე) სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიისა და პოლიტოლოგიის კათედრებზე.

1982-1991 წლებში კლიმენტი შელია იყო თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პარტისტორიის და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგე, კითხულობდა ლექციებს თბილისის უნივერსიტეტში, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცეკასთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტში, ასევე - ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკების გადამსწავლებელ კურსებზე. კ. შელია ლექციებს კითხულობდა ისეთ საკითხებზე, როგორცაა საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური, აგრეთვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორია, მსოფლიო სოციალისტურ სისტემა და მსოფლიოში მიმდინარე რევოლუციურ პროცესები.

1984 წლის იანვარში კ. შელია მიწვეულ იქნა ქალაქ პრადაში, საერთაშორისო კონ-

ფერენცი და მუშათა მოძრაობის ჟურნალ "პრობლემი მირა ი სოციალიზმა"-ს რედაქციაში, სადაც სთხოვეს წაეკითხა ოთხი ლექცია, მის მიერ ბოლო პერიოდში გამოცემული ოთხი წიგნის მიხედვით:

1. მსოფლიო სოციალისტური სისტემა თანამედროვეობის მთავარი რევოლუციური ძალაა;
2. სოციალისტური ქვეყნების ისტორიული წარმატებანი და მსოფლიო რევოლუციური პროცესი;
3. საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობა მათე ხუთწლედის შესრულებისათვის;
4. მათისტური იდეოლოგია და პოლიტიკა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების მტერია.

პროფესორი კლიმენტი შელია 1975-1990 წლებში მუშაობდა საქართველოს განათლების სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის რესპუბლიკური დარგობრივი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარედ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის სახით. ამავე პერიოდში იყო თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახალხესთან არსებული სახალხო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს ალკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული კომკავშირულ-პოლიტიკური განათლების სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე, რესპუბლიკური სპორტული საზოგადოება "ბურვეესტნიკის" საბჭოსა და პრეზიდენტის წევრი. იგი იყო ისტორია-პოლიტოლოგიის, ახალგაზრდობის პრობლემებისადმი მიძღვნილი არაერთი საკავშირო კონფერენციის, სიმპოზიუმის, შეკრების და სემინარის მონაწილე, საზოგადოება "ცოდნის" ისტორიის სექციის წევრი და ქალაქ თბილისის ყოფილი კანონის რაიონის საზოგადოება "ცოდნის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე. კ. შელია, 1971 წელს, ორი წიგნის ავტორობისათვის, დამტკიცებულ იყო მაშინდელი საკავშირო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილედ მოსკოვში.

აღსანიშნავია კლიმენტი შელიას აქტიური მონაწილეობა 1972 წელს ქალაქ კუბინშიევიში გამართულ საკავშირო სემინარში, სადაც დიდი მოწონება დაიმსახურა მისმა მოხსენებამ ახალგაზრდობასთან მუშაობის საკითხებზე.

კ. შელია, სხვა გამოჩენილ მეცნიერებთან ერთად, თანაავტორია 1984 წელს გამოცემული "საქართველოს ისტორიისა", რომელიც საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია დამზარე სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. წიგნის ავტორები დაჯილდოვდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრემიით.

ბატონი კლიმენტი შელია წლების განმავლობაში იყო საერთაშორისო პოლიტიკური მიმოხილველი. ასევე გახლდათ არაერთი ასპირანტისა და მეცნიერებათა კანდიდატის წოდების მაძიებლის ხელმძღვანელი. მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციებით მომზადდა და დაცული იქნა ორ ათეულზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, იყო მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის დაცვის ოფიციალური ოპონენტი, ჩვენს ქვეყანაში ადირებელი მრავალი ფუნდამენტური მონოგრაფიისა და ნაშრომის რედაქტორი. მისი სტატემატი გამოქვეყნებულია ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სხვადასხვა ტომში. ის საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში წლების განმავლობაში იყო სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.

კლიმენტი შელია მონაწილეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის მიერ იდეოლოგიური აქტივის დასახმარებლად გამოცემულ "გულახდილი დიალოგის" I, II და IV წიგნების (1981, 1982, 1986 წლები) მომზადებაში, რომლებშიც გამოქვეყნებული აქვს ოცდაათზე მეტი სტატია.

ტუტის სტუდენტებმა ლალი მგალობლიშვილმა, რუსუდან ზარქუამ და დარეჯან აბზიანიძემ სამი წლის განმავლობაში ზედიზედ გაიმარჯვეს საკავშირო კონფერენციაზე (მოსკოვში), პირველი ადგილები დაიკავეს და შესაბამისი პრემიები დაიმსახურეს. ეს გახლდათ საქართველოს სტუდენტთა დიდი გამარჯვება. კლიმენტი შელია დაჯილდოვებულ იქნა საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და განათლების სამინისტროს მიერ, საკავშირო კონკურსებში ზედიზედ სამჯერ მოპოვებული პირველი ადგილისათვის.

ასევე ბატონი კლიმენტი შელიას ხელმძღვანელობით მომზადებულმა სტუდენტმა ეკატერინე არახამიამ, საქართველოდან ერთადერთმა, მიიღო უმაღლესი ჯილდო - გახდა კონკურსის ლაურეატი, სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდა ლექტორ-სტუდენტთა მოსკოვში მართვულ პირველ საკავშირო კონკურსში ლექციების ხეპირი წაკითხვისათვის. სამეცნიერო ხელმძღვანელი კლიმენტი შელია ამჯერადაც დაჯილდოვდა საკავშირო ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით.

საქართველოს მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოებისა და განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებულ სამეცნიერო კონფერენციებსა და კონკურსში კ. შელიას მიერ მომზადებული სტუდენტები ყოველთვის იღებდნენ მხოლოდ პირველ და მეორე ადგილებს.

სსრკ კომპარტიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრა, რომელსაც კლიმენტი შელია ხელმძღვანელობდა, ერთ-ერთი მოწინავე იყო. იქ ინერგებოდა ლექციებისა და სემინარების ჩატარების ახალი ფორმები და მეთოდები. კათედრა საინსტიტუტო შეჯიბრებაშიც სისტემატურად ღებულობდა პირველ და მეორე ადგილებს.

ბატონი კლიმენტი შელია ორჯერ იყო მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ლექტორთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში, სადაც დაუმტკიცეს სადოქტორო დისერტაციის თემა, 1986 წლის ოქტომბერში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXVII ყრილობისადმი მიძღვნილ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეთა საკავშირო თათბირში, კრემლში, რომელსაც ხელმძღვანელობდა საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მიხეილ გორბანოვი. აღნიშნულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეთა საკავშირო თათბირისადმი მიძღვნილ საქართველოს რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციას, რომელიც ჩატარდა 1986 წლის დეკემბერში, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის ბაზაზე, ხელმძღვანელობდა ბატონი კლიმენტი შელია.

ბატონი კლიმენტი, მისთვის ჩვეული ენერგიითა და გულისყურით, ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის დიდი საქმისადმი მამულიშვილოვანი განცდით ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას. იგი, როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, კითხულობდა ლექციებს საქართველოს ისტორიაში, პოლიტოლოგიაში, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში და გეოპოლიტიკაში.

ჩვენი თუ უცხოეთის ქვეყნების ბეჭდვით ორგანოებში სისტემატურად ქვეყნდება ბატონი კლიმენტი შელიას სტატეები, ნარკვევები, რეცენზიები, პუბლიცისტური წერილები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების პრობლემურ საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს სამასობრივად დათხურომეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის სამ ათეულზე მეტი წიგნი, მონოგრაფია. უკანასკნელ პერიოდში პუბლიცისტურ, სამეცნიერო, კრიტიკულ წერილებთან და რეცენზიებთან ერთად გამოვიდა კლიმენტი შელიას წიგნები: "ქვეყნის განვითარება დამოკიდებულია განათლება დონეზე", "ადგოკატურის შესახებ". სამეცნიერო კრებულში - "მრავალპარტიული საარჩევნო სისტემის სრულყოფის ტენდენციები თანამედროვე საქართველოში". იგი დაჯილდოვებულია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის საიუბილეო მედლით, მთავრობის ჯილდოებით, აგრეთვე მედლით "კავკასიის დაცვისათვის", "1941-1945 წლებში დიდ სამამულო ომში მამაციური შრომისათვის" და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მედლებით, მიღებული აქვს ლენინის სახელობის მედლით ბენ-ლადის დაბადებიდან ასი წლისთავთან დაკავშირებით, ასევე დაჯილდოებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის, ვაკის რაიონული კომიტეტის, საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს თუ საკავშირო განათლების სამინისტროს სამადლოებლო წერილებით, მრავალი დიპლომით, სიგელით, საპატიო სიგელით...

ბატონი კლიმენტი შელია იყო აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პერიოდული ორგანოს - ჟურნალ "აფხაზეთის მთაბის" სარედაქციო კოლეგიის წევრი, პოლიტოლოგიის კათედრის რედაქტორი, დეპლემოსილი მეცნიერი დღესაც ენერგიულად იკვლევს თანამედროვე საქართველოს სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ პრობლემებს.

კლიმენტი შელია პროფესორ ჭანიასთან ერთად იყო საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის შექმნის ინიციატორი და დამფუძნებელი.

პროფესორი კლიმენტი შელია არჩეულია აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის და "ფაზისი"-ს აკადემიების აკადემიკოსად, არის საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, უფრო ზუსტად - იგი საქართველოში არსებული რვა აკადემიის წევრია, ოთხი აკადემიის განყოფილების გამგურავე აკადემიის პრეზიდენტის წევრი.

ჩვენ მხოლოდ საგაზთე ფართის დეფიციტის გამო ვერ მოვახერხებთ ბატონი კლიმენტის ყველა ნაშრომის სათაურთა გამოქვეყნებას, მაგრამ უფრო გულსატკეპნი ისაა, რომ იგი უსახსრობის გამო დღემდე ვერ ახერხებს 850 გვერდიანი ფუნდამენტური ნაშრომის გამოცემას - "კოლხეთი ჩვენს სამყაროს სათავე (კავშირების ისტორიის კოლხეთი იწყება)", რომელსაც დართული აქვს 90 ცხრილი, დიაგრამა, დოკუმენტური მასალები, ილუსტრაციები და უნიკალური ნახატი სურათები. ასევე ვერ ახერხებს მეცნიერი უნიკალური ნაშრომის გამოცემას, რომელიც ეძღვნება აფხაზეთში სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსებისა და განვითარების მატანეს.

სულ ეს გახლავთ ბიოგრაფია ადამიანისა, რომელმაც მოელი თავისი შეგნებული არსებობა ქართული ისტორიული მეცნიერების აღორძინებას მიუძღვნა.

ახლა, რატომღაც, გარკვეული პოლიტიკური ელენის ძალისხმევით, ცუდ ტონად ითვლება იმ ადამიანებზე საუბარი, რომლებიც წარმატებით საქმიანობდნენ კომუნისტურ ეპოქაში. მაგრამ, ნუ დაგვაიწყდება, რომ კომუნისტები დიდ ყურადღებას უთმობდნენ კადრების შერჩევის საკითხს და უდრის ადამიანი იმ ეპოქაში ვერასოდეს მიაღწევდა ისეთ სიმაღლეს, როგორსაც ბატონმა კლიმენტი შელიამ მიაღწია თავადღებელი შრომითა და უმწიკლო ბიოგრაფიით.

შეიცვალა ეკონომიკური და პოლიტიკური ფორმაცია, საზოგადოების გზაბნეულმა ნაწილმა აღდგო ვერ აუღო ახალ ცხოვრებას, რადგან ფარა მოულოდნელად შემოტრიალდა და მის სათავეში კოჭლი ცხვრები და სააკაშვილისნაირი "საბაველი იხვის ჭუკები" აღმოჩნდნენ, რომელთაც დაუნახებლად გასწირეს დეპლემოსილი ადამიანები "ჩასარეცხად". მაგრამ, როდის მომხდარა, რომ შემდგომ მუხა წაექციოს. ამიტომ, ვამთა ცვლამ ვერაფერი დააკლო კლიმენტი შელიასთან ადამიანების სახელსა და ღირსებას.

საუკუნეს მითანებული მეცნიერი დღეს მხოლოდ თვალის ჩინის დამცრობას უწივის, თუმცა, ყოველი მისი ნაშრომი კვლავინდებურად აქტუალური და საინტერესოა.

დაე, ასე ყოფილიყოს, კიდევ მრავალჯამიერ!

გულთადად ვულოცავთ ამაგდარ მეცნიერს 92 წლის იუბილეს, ვუსურვეთ ხანგრძლივ სიცოცხლესა და ნაყოფიერ შრომას!

სახალხო მოძრაობა "სამებრელო", გაზეთი "ილორი"



ილორი იბერიული ენა

და საზოგადოების სრულყოფის პრობლემა

მსოფლიოში ყველაზე დიდი ცოდნისა და შესაბამისად, ყველაზე დიდი აზროვნების მქონე ებრაელი ბრძენები, ბუნებრივია, ვერ თმობენ პირველობას და იბერთათვის ბოძებული ღვთიური სანუქრის საკომპენსაციოდ მთელ თავიანთ სიბრძნეს – ცოდნას მოუყარეს თავი, გონებისათვის მიუწვედომელი სულიერი სიბრძნის წვდომის ილუზიის შესაქმნელად, ადამიანების ყველა თვისებათა მცოდნე ბრძენებმა მეორადი წარმოშობის, ანუ ადამიანთა მიერ შექმნილ ასონიშნებს მიაწერეს ეს თვისებები და ამტკიცებენ, რომ „თავიდან ყველა თავის ცოდნას სამყაროზე, მასში მწვდომნი მალაღდენენ ასოების სახით, რომელთა მოხაზულობა აიღეს სულიერი ძალების ურთიერთკავშირიდან. სხვა სიტყვებით, თითოეულ საფეხურზე მოქმედებს განსაზღვრული, თვისობრივად მხოლოდ მისი შესაბამისი სულიერი ძალა. მიეცემა რა, განსაზღვრული ნიშანი თითოეულ თვისებას, შეიძლება ნახატი გამოსახო ურთიერთკავშირი და საერთო შედეგი სულიერი ძალების თითოეული საფეხურების შეერთებისა, მისი არსი.

ამგვარად, კაბალისტებმა შექმნეს ჩვენი (ებრაელთა, კ.ფ.) აღფრთოვნი 22 ასონიშნის სახით. წიგნში <<ხოზარია>> დიდი ყურადღება ეთმობა ასონიშნთა შორის ურთიერთკავშირის ახსნას, რაც ესმარება მოსწავლეს შეავსოს თავისი ცოდნა და მონახოს ახალი გზები შეიგონოს სულიერი ძალები და მათი მოქმედებანი... და როგორც აბრაამის წიგნში <<წიგნი შესაქმნის>> ნათქვამია: „... ასონიშნები წარმოადგენენ თავისთავში ქვეს, რომლისგანაც შესდგება შენობა – სიტყვა. როგორც მოგვითხრობენ ჩვენი ბრძენები, სამყარო შექმნილია <<წინდა ენის>> ასონიშნებით, რომლის თითოეული ასონიშნი წარმოადგენს განსაზღვრულ წინდა, სულიერ, ალტრისტულ ძალას ქმნილებისა. ასონიშანი წარმოადგენს ამ ძალის თვისებას თავისი მოხაზულობით და მნიშვნელობით, დანარჩენებთან შედარებით, თავისი შესაძლებელი შესაძლებლობა დანარჩენ ასონიშნებთან, თავისი შესაძლო განხორციელებით, გვირგვინებით და ნოტური ნიშნებით, თავისი რიცხვითი მნიშვნელობით – ჰემატრიით და ვარიაციებით.

მაგრამ ეს მხოლოდ თუ შევეხებით ცალკეულ ასონიშნებს და მათ შესაძლებლობებს. არის ასევე განსაზღვრული წესები, რომელთა მიხედვით ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ სულიერი ძალების თვისებები არა ასონიშნებიდან, არამედ მთელი სიტყვებიდან, ამასთან ამ სიტყვებში ასოების ხშირი შეცვლის გამოყენებით ან მთელი ნაწილების შეცვლით მსგავსებ.

თვით ენა, ძირი ამ სიტყვებისა, მტკიცებულებენ ობიექტის თვისებებზე, რომელსაც ის ეწოდება. ადამი წარმოიშვა ადამისგან (მიწისგან), რითაც ხაზგასმულია მისი არარაობა, ხოლო სიტყვიდან ადამე (მსგავსია [უხენავისა]), ხაზი ეყმება მის აღმატებულებას...“ (იქვე, გვ. 294).

თითოეულ საფეხურზე, რომ მოქმედებს განსაზღვრული, თვისობრივად მხოლოდ მისი შესაბამისი სულიერი ძალა, ეს სარწმუნოა და, შეიძლება, თითოეულ თვისებას მიუსადაგო განსაზღვრული ნიშანი, შემდეგ კი ნახაზში გამოსახო ამ ნიშნებით თვისებათა ურთიერთ კავშირი, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობენ „... ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ სულიერი ძალების თვისებები არა ასონიშნებიდან, არამედ მთელი სიტყვებიდან, ამასთან, ამ სიტყვებში ასოების ხშირი შეცვლის გამოყენებით ან მთელი ნაწილების შეცვლით მსგავსებ“ და, როცა ასონიშნებით აღნიშნული ბგერები წარმოადგენენ სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვებს, რა თქმა უნდა, ეს ბგერა-სიტყვები გამოხატავენ განსაზღვრული სულიერი ძალების თვისებებს, რადგან ბგერაა ღვთიური და არა ასონიშნები, მაგრამ ენაში, რომელშიც ბგერა ცალკე აღებული არაფერს ნიშნავს, მასში მისი აღნიშნული ასონიშნით (რიცხვითი მნიშვნელობით, ჰემატრიით და ვარიაციებით) რა სულიერ თვისებებზე შეიძლება ვიმსჯელოთ? პასუხი გონიერად მკითხველისთვის მიგვიჩვენებს.

ასონიშნთა ღვთიური წარმოშობას მეცნიერებაც არ უჭერს მხარს... ასტროლოგიური წარმოდგენები დამწერლობასთან კავშირში თავს იყენებენ ზოგ

უძველეს ორიგინალურ წერით სისტემაში, რომლებიც ღვთაებრივი ძალის პროდუქტად არის მიჩნეული, როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ცვილიზაციებში. განსაკუთრებით ძლიერია წერის მისტიკური ძალა იმ საზოგადოებათა წარმოდგენებში, სადაც დამწერლობა ქურუთა სპეციალური კასტის კუთვნილებას წარმოადგენდა. იმ საზოგადოებებში, სადაც წერა ფართოდ ვრცელდება და საზოგადოებრივ კუთვნილებად იქცევა, დამწერლობას არ უკავშირდება ის მისტიკური წარმოდგენები, რაც მთელი რიგი აღმოსავლური ცივილიზაციებისთვისაა დამახასიათებელი. ასე, მაგალითად, ბერძნული ფილოსოფიისათვის უცხოა წარმოდგენები წერის მისტიკური ძალისა და დამწერლობის ღვთაებრივი წარმომავლობის შესახებ“ (თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, 1989, გვ. 44, სქოლიო).

რაც შეეხება „სიტყვებიდან და, ამასთან, ამ სიტყვებში ასოების (ბგერების, კ.ფ.) ხშირი შეცვლის გამოყენებით ან მთელი ნაწილების შეცვლით მსგავსებ“, სულიერი ძალების თვისებების განსაზღვრას, სწორედ, ესაა ღვთიური და, შეიძლება, ერთნაირი ბგერითი შემადგენლობის სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებს, სხვადასხვა სულიერი საფეხური შეესაბამებოდეს. მაგ., ბ, და დ, ბგერა-სიტყვების კომბინაციით და მათში, ბგერის სხვადასხვა ხმოვნებით განხილვის შედეგად, შეიძლება მივიღოთ მნიშვნელობით, არსით აბსოლუტურად განსხვავებული და, შესაბამისად, სრულიად სხვადასხვა სულიერი თვისებების მქონე სიტყვები: ბადა, დაბა, ბადე, დება, ბედი, ბუდე, ბოდა და ა.შ. და სულაც არაა გასაკვირი, რომ ებრაულ ენაზე <<ადამ>> მიწას ნიშნავს, ხოლო <<ადამე>> – მსგავსია, აქ მთავარია ამ ორ სიტყვათა ეტიმოლოგიის განსაზღვრა სინქრონულ-დიაქრონულ დონეზე. ამ შემთხვევაში გაირკვევა <<ადამი>> და <<ადამე>> ებრაულ ენაში ეროვნული წარმოშობისაა, თუ ნახსენებია, ან კიდევ, პირველადი, ადამიანის მტკიცებულების დროიდან შემორჩენილი ებრაულ ენას თუ არა. უკანასკნელს გარკვევა კი, ჯერჯერობით, მხოლოდ მეგრული (იბერიული) ენის პერიოგატივია, მისი შესაძლებლობაა.

იბერიულ ენაში 36 ასო-ბგერაა. აქედან 6 ხმოვანია, რომლებიც შორისდებულებია და ცალ-ცალკე აღებული მნიშვნელობა არა აქვთ, მაგრამ ანბანში მქონე ბგერა ა განიხილება, როგორც დაქარაგმებული ფორმა სიტყვისა მა (მე), აღნიშნული პიროვნებისა, ადამიანისა. ასევე, ამონახაზის ასონიშნებს ა (ა) – ალფსა და უ (ა) – აინ-ს დამოუკიდებელი ბგერითი მნიშვნელობა არ აქვთ, არამედ გამოითქმება მათი თანხმლები ხმაინობა“ (იხ. M. Лайтман, ЗОАР, გვ. 298) ამიტომ ბგერა ბ-ს გარდა, სხვა ხმოვან ბგერებს არ განვიხილავთ. მაგრამ, სანამ დავიწყებდეთ იბერიულ ენაში არსებული ბგერების განხილვას და მათს შედარებას ზოგიერთ ებრაულ ასონიშნებისთვის მიწერილ მანქანებლებთან, საჭიროა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, არცერთი ერის წარმომადგენელს არ შეუძლია თანხმობანი ბგერა ცალკე აღებული წარმოსთქვას ირაციონალური ხმოვნის, ბგერის თანხმლების გარეშე, ბგერ ენაში, მათს შორის ქართულში, როცა თანხმობანი ბგერაზე, ცალკე აღებული მიეუთითებთ, იგულისხმება, ბგერის თანხმებით და წარმოადგენს სრულმნიშვნელოვან სიტყვას, ამიტომ ხშირად ვამბობთ <<ბგერა-სიტყვა>>.

1. იბერიულ ანბანში მქონე ბოლო 36-ე ნომრად ზის ასონიშანი (. იგივე „). საინტერესოა, რომ ბგერა-სიტყვა „-ს წარმოშობას საფუძვლად უნდა დასდებოდა ქალ-ვაჟის ინტიმური ურთიერთობის დროს წარმოშობილი ორგაზმის (ნებჭრების) მომენტში ქალის მიერ გამოცემული ბგერათა კომპლექსი „...“ და ა.შ., რაც მეგრულ (იბერიულ) ენაზე ნიშნავს პყო(ქნა)-ს. უეჭველია, ბგერა-სიტყვამ „პყო(ქნა)-ს მნიშვნელობა მიიღო იმ ჭეშმარიტების გამო, რომ ამ მომენტში იქმნება ახალი სიცოცხლე, ხდება ქნა ახალი ადამიანისა, ანუ კეთდება წინდა ღვთიური საქმე და ეს ნებჭრება ქნის პროცესში მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როცა მას სა-

ფუძვლად უდევს წინდა ღვთიური სიყვარული, უანგარო გაცემის ღვთიური ძალა. ცოდვით დაცემული ველური ცხოველი, სწორედ, ამ ძალამ, ღვთით ბოძებულმა ამ თვისებამ აქცია ადამიანად და ეს თვისება აქცევს მას, პროტენციურ ღმერთს, სრულყოფილ ქმნილებად. ამიტომ, რომ ნებისმიერი სიხალისი ქნა ადამიანს ანიჭებს უდიდეს საომრებას და თუ ის მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის, ენით აუწერელ ნებჭრებასაც. ვფიქრობთ, ცოდვით დაცემული ველური ცხოველის ადამიანად ჩამოყალიბების პროცესში ბგერა-სიტყვა „-ს, პირველქმნილი ღვთიური სიტყვა უნდა ყოფილიყო. გენეტიკურ მესხიერებაში არსებული, ოდესღაც დაკარგული, თუ წართმეული ნათელის დაბრუნებისკენ სწრაფვა, უხენავის შემოქმედის უდიდესი ნაწილის აღსრულებაში თანამოქმედება, ანუ შემოქმედის სიამოვნებისათვის სიკეთეთა მუდმივი ქნა და ამით ნებჭრების მიღება უდიდესი ამბიციური, მაგრამ, ამავე დროს, წინდა თვისებათა დაგვირგვინება ადამიანში და მიღწეულ იქნება შემოქმედის ნაწილის სრული რეალიზაციის ბოლოს.

დღეს ჩვენ იმდენად აღვიქვამთ სამყაროს სრულყოფას, რამდენადც ამის შესაძლებლობას ჩვენ, ჯერჯერობით, არასრულყოფილი გონება იძლევა, მაგრამ დროთა განმავლობაში და უხენავის შემოქმედის მიერ დადგენილ დროში მოხდება ადამიანის დადებით თვისებათა კონცენტრაცია, თანდათანობით წაიშლება უარყოფითი თვისებები და მოხდება მისი სულიერ-გონებრივი სრულქნა-სრულყოფა, რომლის შემდეგ საკუთარ ჭეშმარიტ მამე-ს და, ამასთან, მთელ სამყაროს დღეისათვის ჩვენთვის წარმოდგენილ უმაღლეს და აბსოლუტურად სრულყოფილ დონეზე დავიხილავთ. ამიტომ, თქვენი, რომ „სამყაროს შექმნა მოცდის თვისებათა მის არსებობას და შემდგომ სრულყოფას, რომ სამყარომ მიიღწიოს იმ მიზანს, რისთვისაც შექმნილია“.

დღეს კი, ცხადია, ქნაში, ანუ ადამიანის თვისებაში შექმნას რაიმე ქმნილება, ნებჭრითი იგულისხმება და გამანადგურებელი ქმნილებებიცაა, კიდევ, შექმნილი. დენტის ისეთი სიმძლავრის კასრზე ზის დღეს მსოფლიო, რომ საკმარისია ერთი დერი ასანთი რომ, საერთოდ, შეწყდეს დედამიწის არსებობა. ვფიქრობთ, სწორედ ამიტომ ზის ანბანში მქონე ბგერითი ბოლო ნომრად ბგერა-სიტყვა „-ს აღნიშნული ასონიშანი („).

ასონიშნის გრაფიკულ მოხაზულობაში („), სახელდებით „ან, ქარაგმაგახსნილ მდგომარეობაში „... [ან] ან[ც]“ (ქნა სამყაროში), სამყაროში მიმდინარე ქნა-გარდაქმნის პერიოდული და მარადიული პროცესისა წარმოდგენილი. აქ შემოუსაზღვრელი, მარცხნივ მიმართული პორიზონტალური ხაზი ამ პროცესის დაწყების დაუსაბამობის, ანუ უსასრულობიან მიმდინარეობის გამოხატულებას, მარჯვნივ მიმართული – ამ პროცესის უსასრულოდ გაგრძელებას, ხოლო ვერტიკალური ხაზითა და მასთან დაკავშირებული წრის მსგავსი ფორმებით, სამყაროში მიმდინარე ქნა-გარდაქმნის პერიოდული პროცესისა წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის თვისებები ბგერა-სიტყვათა ზმნურ ფორმებშია ასახული. ამიტომ განვიხილავთ მხოლოდ მათ ზმნურ მნიშვნელობებს.

2. ბგერა-სიტყვა ჯ, დღევანდელი მდგომარეობით იხმარება ორი მნიშვნელობით: ა) გახმოვანების შემდეგ ჯა (ხე); ბ) წვა. მაგ., „შუღადირი კოჩი ონჯუას ადრე დინ-ჯ,“ (დადლილი კაცი საღამოს (ხედ-მიწვენი: დაწოლის ჯამს) ადრე და-წვა). იგივე შინაარსის სიტყვა იხმარება შემდეგი ფორმითაც: ა) „მოხუცებული ნოჯე დო ვდგინაქ დეზარ,“ (მოხუცებული წოდ-ილა და ადგომბა დეზარს); ბ) „ბრელი ჯ, -ნა მანებელი რე“ (ბგერი წოლა-მანებელია); „უსაქმური კოჩი მთელ დღას ჯ, -ნც“ (უსაქმური კაცი მთელი დღე წეკ-ს). უკანასკნელი ფორმა იხმარება უპირატესად წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების მთიან სოფლებში მსგავსად სიტყვებისა [ქო]-ბ, -ნც (კი ასხამ-ს), თ, -ნც (თოვ-ს), წ, -ნც (წოვ-ს) და ა.შ. აქედან უნდა იყოს განვითარებული დღეს სამეგრელოს ბარში გავრცელებული ფორმა ჯან (←ჯან←ჯ,

ნც)/წევს და ასონიშან (ჯ)-ს სახელდება ჯან. ასონიშნის მოხაზულობა საწოლის კვეთს უნდა წარმოადგენდეს. ასეთი კონსტრუქცია ეკონომიურიცაა და მდგრადიც. ზევით პორიზონტალური ხაზი საწოლის ფიცრული უნდა იყოს.

წოლა ფიზიოლოგიური აუცილებლობაა, მაგრამ ხშირად ზარმაცი კაცის თვისებაცაა. ასეთ შემთხვევაში წოლა, უმოქმედობა ადამიანის უარყოფითი თვისებაა, თუმცა, შემოქმედისათვის და მისი ჩანაფიქრის აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა თვისება დადებითია.

3. ბგერა-სიტყვა ჯ, გახმოვანების შემდეგ ჯუ, იხმარება შემდეგი მნიშვნელობით: ა) პეშვი; ბ) ამხია; გ) შალა. ეს ორი უკანასკნელია მთავარი. დამსობა და დამლა, შეიძლება დადებითი იყოს და უარყოფითიც, რადგან დამსობა-დამლა, ვთქვათ, ფაშისტური და დიქტატორული რეჟიმისა დადებითია, მაგრამ დამსობა-დამლა სამართლიანი, ქვეყნისა და ხალხისთვის მზრუნველი სახელმწიფო ხელისუფლებისა, ტრაგიკულია. თუმცა, შემოქმედისათვის, როგორც აღვნიშნეთ, ყველაფერი დადებითია.

ჯ ბგერის აღნიშნულ ასონიშანში (ჯ), სახელდებით ჯარ, ქარაგმაგახსნილ მდგომარეობაში „ქუ [შან] რინელი“ (შალა მემ არსებული, ყოფიერი), ქვედა ვერტიკალური ხაზი ერთი რადიქსი უნდა იყოს, ხოლო მისი ზედა ბოლოდან გამოსული მარცხენა და მარჯვენა ხაზები ამ ქმნილების დასა-დაყოფით მიღებული ნაწილები. აღსანიშნავია, რომ დაქარაგმების აქ წარმოდგენილი ფორმები, კერძოდ, აბრევიატურა და თავბოლო მოკვეცილი დაქარაგმება და, საერთოდ, დაქარაგმების ყველა გამოყენებული ფორმა ცნობილია და იგ. ჯავახიშვილს აქვს აღწერილი თავის წიგნში „ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია“.

4. ბგერა-სიტყვა ხ, გახმოვანების შემდეგ იხმარება ორი მნიშვნელობით: ა) ხუ (შვა), თუ მცა, ხ, (შვა) გაუხმოვანებლად იხმარება; ბ) ხე (ხის). შობა ახალი სიცოცხლისა, თუ რაიმე შემოქმედებითი მოვლენა ადამიანში, ხოლო ჯდომა, უმოქმედობა უარყოფითი თვისებაა. დადებითი და უარყოფითი, ანუ ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებები მრავალია ადამიანში.

ხ ბგერის აღნიშნულ ასონიშანში (ხ), სახელდებით ხან, ქარაგმაგახსნილ მდგომარეობაში „ხ, [ან] ან[ც]“ (შვა ცაში), ქვედა პორიზონტალური ხაზი მიწის იდუგობა უნდა იყოს, მისი მარცხენა ბოლოდან ამართული ვერტიკალური ხაზი – მიწის ზედაპირიდან ამოზრდილი არსებისა, ხოლო ამ ვერტიკალური ხაზის შუა წერტილიდან გამოსული და შემდეგ ვერტიკალურად ამართული ხაზი – მიწის ზედაპირიდან ამოზრდილი არსების მიერ შობილ მსგავს არსებას უნდა ნიშნავდეს.

5. ბგერა-სიტყვა ჯ, გახმოვანების შემდეგ იხმარება სამი მნიშვნელობით: ა) ჯა, მიწის სიღრმეში გათხრილი ვერტიკალური ღრმული წყლის მოსაპოვებლად; ბ) ჯუ (კერა); გ) ჯუ (წვა); დ) ჯ; გაუხმოვანებლად, ნიშნავს ნაწლავს.

დადებითი ქმედებაა შეკერო ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსაბური და ხელთათმანები ორგანიზმის მაცნე ფიზიკური შემოქმედებისგან დასაცავად. რთულია, მაგრამ უფრო საპატიოა შეკერო, შექნა სულიერი ფარი (ჭურჭელი) არაწმინდა ძალებისგან თავდასაცავად. იმავედროულად, ძალზე ადვილია და-წვა, ცეცხლს გაატანო რაც ადამიანს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სიყვარულითა და ღმერთის დახმარებით შეუქმნია. ადამიანის შიგნით, მის სულიერ სამყაროში მუდმივად მიმდინარეობს სიკეთისა და ბოროტების უკომპრომისო ბრძოლა და ამ ბრძოლაში წინდა ძალევი გაიმარჯვებენ, თუ არაწმინდა, დამოკიდებულება თვით ადამიანთა სურვილზე და ღმერთთან, თუ არაწმინდა ძალებთან უშუალო კავშირზე.

კუპური ფიფია, „ფაზისისა“ და „იაის“ საერთო-სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

პასუხად სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურბუმიცეულ კოლეგებს

დასაწყისი – "ილორო" №238-251

სიმართლე მწარე წამალია – არ გესიამოვნება, მაგრამ მოგარჩენს.
ბალზამი

ჭეშმარიტება არ იზიარება იმით, რომ ვიღაცა მას არ იზიარებს.
შილერი

აქ უნდა შევეჩვიოთ და უფრო დეტალურად განვიხილოთ ეს საკითხი – რა იყო ეს, უბრალო მიამიტობა, თუ საქმე გვაქვს ვერაფერ დალატობაში? როგორ, რის ფასად შეიძლება ისეთ დათმობაზე წასვლა, როგორც 90-ათასიანი ეთნიკური უმცირესობისთვის 28, ხოლო 250-ათასიანი ქართული მოსახლეობისთვის მხოლოდ 26 სადეპუტატო ადგილის დაშვება უმაღლეს საბჭოში? რატომ არ შეიძლება, რომ პირიქით ყოფილიყო – 28 ადგილი ქართული მოსახლეობისთვის და 26 – ეთნიკური აფხაზებისთვის, ან, თუნდაც, მათი თანაბრად განაწილება (26:26 ან 28:28)? განა ეს უფრო მისაღები არ იქნებოდა ქართული მხარისათვის? რის ფასად ხდებოდა ქართული მოსახლეობის უფლებების ასეთი უგულბელო ყოფილება, ვის ინტერესებს ემსახურებოდა ყოველივე ეს და რას ეფუძნებოდა ასეთი გაუგონარი დათმობა აფხაზური მხარისთვის?! აფხაზეთი ბორბლებზე ხომ არ იყო, მართლა, შეყვებულნი, რომ ფსოუს იქით გადაეტანათ იგი აფხაზებს?! რამდენიც არ უნდა ეყვირა ვარძიბას და მის გარემოცვას, ამით არაფერი შეიცვლებოდა, როგორც არაფერი შეცვლიდა 1990 წლის ე.წ. საკავშირო რეფერენდუმის შედეგად. აფხაზეთი შემდეგაც დარჩა, როგორც მოგესხენებათ, საქართველოს განუყოფელ ნაწილად!

ის არგუმენტი, რომ ასეთი დათმობით შემოვირიგებდით რუსეთისკენ გადახრილ აფხაზებს, ძალზე უსუსურად და ახადამაჯერებლად გამოიყურება. მაშ, რატომ დასჭირდა აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებებში ჩართულ ქართულ მხარეს (ნ.მგალობლიშვილი, გ.ლომინაძე, თ.ქავია, მ.ომანიძე და სხვ.) ასეთ არნახულ დათმობაზე წასულიყო? სწორედ ეს გახლავთ აქ უპირველესად გასარკვევი დასწორედ **„აქ მარხია ძაღლის თავი“** (იხ. შეს. 97-98 და 98-99).

საქმე ის არის, რომ ასეთი დათმობის ფასად, აფხაზური მხარე მიიღებდა სრულ პოლიტიკურ კარტლანს უმაღლეს საბჭოში, და არა მარტო უმაღლეს საბჭოში, ხოლო ქართულ მხარეს პირდაპირდნენ, რომ ერთ პაკეტად (გ. არძინასთან ერთად) მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩევდნენ სავარაუდოდ გ. ლომინაძეს, ხოლო უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ – ნუგზარ მგალობლიშვილს!

მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ორივე თანამდებობაზე სულ სხვა კანდიდატურები დაასახელა და ამ ფარული გარიგების მონაწილეებს, როგორც იტყვიან, **„ყოფილი ნაცარში ჩაუვარდათ“**. ამიტომაც, პრეზიდენტის მიერ დასახელებული კანდიდატურები გ. არძინასთან ერთად რომ არ არჩეულიყვნენ დასახელებულ თანამდებობებზე უმაღლესი საბჭოს სესიის პირველსავე სხდომაზე, არჩევნებამდე ორი დღით ადრე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეიკრიბა ქართულ-აფხაზურ დეპუტატთა შემთანხმებელი კომისია (რომლის წევრიც გახლდით) და, მიუხედავად ჩემი წინააღმდეგობისა, გადაწყვეტილება მიიღო უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს პირველი პირების პირველსავე სესიაზე, გ. არძინასთან ერთად, ერთ პაკეტად არჩევის მხარეებს შორის ადრე მიღწეული შეთანხმების გაუქმების შესახებ. როგორც მახსოვს, ამ საკითხისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა შს მინისტრი გივი ლომინაძე, რომელიც არ იყო დეპუტატი და არც ქართულ-აფხაზური შემთანხმებელი კომისიის წევრი გახლდათ (იხ. შეს. 97 და 99 გვ.). ამდენად, მისი იქ ყოფნა და აღნიშნული საკითხისადმი განსაკუთრებული დაინტერესება საკმაოდ უცნაურად გამოიყურებოდა.

სწორედ ეს ბაღებს სერიოზულ კითხვებს!
რატომ იყვნენ აღნიშნული პირები ასე დაინტერესებული და რატომ აუქმებდნენ ასეთი გამაღებით მხარეებს შორის ადრე მიღწეულ ესოდენ მნიშვნელოვან შეთანხმებას – უმაღლეს საბჭოსა და მთავრობის თავკაცების ერთ პაკეტად პირველსავე

სხდომაზე არჩევის შესახებ, და რატომ არ უჭერდნენ მხარს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას – მის მიერ რეკომენდებულ კანდიდატურას, თუ ერთნაირი ინტერესების ერთგულნი იყვნენ? რატომ თმობდნენ ისინი აფხაზურ მხარესთან ასეთი შეხმატკბილებით, ყოველგვარი მსჯელობისა და კანდიდატურის განხილვის გარეშე, ქართული მხარის პოზიციებს?! ეს არის აქ მთავარი საკითხები, კითხვათა კითხვა!!!

აქ საუბარი იმაზე, რომ აფხაზური მხარე შემოთავაზებული კანდიდატურის წინააღმდეგი იყო, არგუმენტად ვერ გამოდგება, ვინაიდან საქმის არსი სწორედ იმაში მდებარეობდა, რომ მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ გ. არძინას არჩევის თანხმობის სანაცვლოდ, ქართულ მხარეს ენიჭებოდა უფლება წარმოედგინა მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე ნებისმიერი შესაფერისი კანდიდატურა და აფხაზური მხარისთვის ის მისაღები და უპირობოდ გამსვლელი იქნებოდა. ასე რომ, აქ ყოველგვარი კომენტარი და საუბარი წარდგენილი კანდიდატურის აუკარგიანობაზე ლოგიკას მოკლებულია. ამდენად, დღემდე გაოგნებას იწვევს თქვენი – შემთანხმებელი კომისიის ქართული მხარის ამგვარი ქმედება.

ასე რომ, აქ საუბარია უტყუარ ფაქტებზე და ყოველივე ეს თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ ანაცვლებდა მავანი პირად ამბიციებს ხალხისა და ქვეყნის ინტერესებს! სხვა ახსნა ამას არ გააჩნია! **ეს შადიმანობის კლასიკური ნიმუშია!**

ყოველივე ეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის დაწყების წინ ხდებოდა. მაშინ აფხაზურ მხარესთან კონფრონტაცია ჯერ კიდევ არ იყო გამოწვევებული. თქვენ კი, იმედგაცრუებულმა და ღრმა დუპრესიამ ჩავარდნილმა, მიატოვეთ ქართული დეპუტატი, ბატონო ნუგზარ! მე კი, რადგანაც იმ დროს ჯერ კიდევ არ გამაჩნდა სათანადო პოლიტიკური გამოცდილება, ბოლომდე ვერ ვაცნობიერებდი, თუ რა ამაზრუნე დალატთან გვექონდა საქმე, და მაინც პუმანურად გექცეოდით თქვენც და თქვენს თანამზრახველებსაც, აკი, ჩემს წიგნშიც მხოლოდ გაკვრით შევეხე ამ გამოგონებულ ფაქტს.

დღეს კი, გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ სწორედ თქვენი და თქვენი თანამზრახველების ნაამაგარია აფხაზეთის 1991 წლის აპარტიდული საარჩევნო კანონი და მის საფუძველზე ჩატარებული არჩევნების სავალალო შედეგები. ყოველივე ეს კი, შევარდნაძის მოღალატეობრივი ქმედებასთან ერთად (აფხაზეთში ტანკებისა და შეიარაღებული კრიმინალური შენაერთების შემოყვანა), უპირველესი მიზეზია იმ უბედურებისა, რაც თავს დაგვატყდა. სწორედ ზემოხსენებული საარჩევნო პაკეტის დარღვევის გამო დაიძაბა სიტუაცია უმაღლეს საბჭოში, რასაც მოჰყვა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ ვაჟა ზარანდიას დანიშვნა აფხაზი დეპუტატების მიერ, დეპუტატთა ქართული ფრაქციის გასვლა უმაღლესი საბჭოდან და მის ბაზაზე, პარალელურად, ქართული პარლამენტის, ხოლო შემდეგ ე.წ. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს და ცოტათი ადრე, ეროვნული ერთიანობის საბჭოს შექმნა – იმ მე-5 კოლონისა, რომელმაც, ყველა სხვა დესტრუქციულ ძალასთან ერთად, ის შედეგი განაპირობა, რასაც ხალხისა და ქვეყნის ინტერესები შეეწირა.

ასე რომ, ბატონო ნუგზარ, ვის ვის, მაგრამ თქვენ და თქვენს თანამზრახველებს არ უნდა ამოგვლოთ ხმა, რადგან ამის მორალური უფლება, უბრალოდ, არ გქონდათ! თქვენ ხომ ერთ-ერთი იმათგანი ბრძანდებით, ვის ხინდისხეცაა ქვეყანაში დატრიალებული ტრაგედია და აძღვნი ოჯახის გაუბედურება?

სწორედ ეს გახლავთ ის შადიმანობა – ის ჭეშმარიტი დალატი, რაზედაც თავად ურცხვად საუბრობთ!

კარგად დაფიქრდით, ბატონებო, ვის ემსახურებით თქვენ, ასე საჯაროდ რომ ენამრუშობთ და ემიჯნობთ სიმართლესა და ჭეშმარიტებას?!

აი, რისი თქმაც მინდოდა თქვენთვის და თქვენისთანებისთვის! აწი, თავად განსაჯეთ – ვინ არის გუშინდელი თუ თანამედროვე შადიმანი! თუ გაგვტყობდათ და ვერ შექმელით, მკითხველი დაგეხმარებათ!

პატივისცემით, თქვენი
ნაპო მისხია, პროფესორი

სირცხვილია ნაპო მისხიას წიგნს “როგორ ბასხვისდა აფხაზეთი” აკრიტიკებდა

მეგობრებო, ძალიან მოკლედ, ორი სიტყვით მინდა გამცნოთ, რომ სირცხვილი მათ, ვინც შეეცადა გააკრიტიკოს ბატონი ნაპო მისხიას (დევალმოსილი მეცნიერის მედიცინის დარგში) წიგნი **“როგორ გასხვისდა აფხაზეთი”**, წიგნი, რომელიც ჯერ კიდევ ელის ღირსეულ შეფასებას, რამეთუ ასე ზუსტად აფხაზეთის ომის შესახებ ჯერ არავის დაუწერია სიმართლე. მან შექმნა დიდებული ქმნილება – საგანძურის (სხვას ამას ვერ უწოდებ). სხვას რომ თავი დაეხანებოთ წიგნი აფხაზეთსა და ქართველებს შორის ნდობის აღდგენასა და შერიგებას ემსახურება – წიგნი, რომელიც სინამდვილეს დალადებს. ხომ არ გეშინიათ ამ სიმართლის ბატონებო, ამიტომ ხომ არ ფაფხურობთ? გრცხვენოდეთ, თქვენი ვინაობის დასახელება მიჭირს, მაგრამ საქართველოში ყველამ ყველაფერი იცის.

ლტოლვილი საზოგადოება მოითხოვს: ხელები შორს ნაპო მისხიას დაუფასებელი ქმნილებიდან. ნაპო მისხიას იმდენი გაუკეთებია ნეიროქირურგიის დამკვიდრების საქმეში აფხაზეთში და ლტოლვილებში საქართველოში, რომ ღირსია სიცოცხლეშივე დაუდგას შთამომავლობამ ძველი.

ახლო მომავალში თუ არ შეწყდა მის წინააღმდეგ ცილისწამება (სხვა არაფერია), ელოდეთ მის დასაცავად მრავალათასიან მიტინგებს სადაც საჭიროა.

მამანთი ჯოლია, ქართველ უხუცესთა საბჭოს (აფხაზეთიდან) თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე

თქვენ უკვე დაიბრუნეთ თქვენი წილი აფხაზეთში, ბატონო ნაპო!

დაიხ, თქვენმა წიგნმა გააკეთა ის, რაც ამდენი ხნის განმავლობაში ვერ მოახერხა ქართულმა დიპლომატიამ – არცერთ წერილზე იმდენი გამოხმაურება არ მოვიხილა აფხაზეთიდან, რამდენც თქვენი წიგნის წიგნის გარშემო ატეხილი აუიოტაჟის გამო მივიღეთ! საინტერესო კი ისაა, რომ გვეხმაურებიან ის ახალგაზრდა აფხაზები, რომელთაც თქვენი, როგორც დასტაქარის ხელის სითბო არ უგრძობიათ და მხოლოდ თქვენს მიერ აფხაზეთის მოვლენებზე გამოცემული წიგნით გაიცინეს.

ეს არცაა გასაკვირი, რადგან, ჯერ ავადსახსენებელი შევარდნაძის, შემდეგ კი ასევე ავადსახსენებელი სააკაშვილის მმართველობის ეამს საქართველოს მოქალაქეებს ყველაფერი აკლდათ, მაგრამ საზოგადოება ყველაზე მწვავედ მაინც იმ სიმართლის დეფიციტს განიცდიდა, რამაც საქართველოს ეს ძირძველი კუთხე დააკარგვინა.

არ მინდა ვინმეს გული ვატკინო, მაგრამ ჩემთვის არაერთგზის დამისვამს შეკითხვა: რა საჭირო იყო საქართველოში აფხაზეთის მთავრობისა თუ საზოგადოებრივი სტრუქტურების შექმნა, მით უმეტეს, თუ რეალურად ისინი აფხაზეთის საკითხებს ვერ გადაწყვეტდნენ და მხოლოდ **“აფხაზეთობანას”** თამაშებით იქნებოდნენ დაკავებული. დევნილთა პრობლემების მოსაგვარებლად განა საკმარისი არ იქნებოდა მათთვის სპეციალურად შექმნილი დევნილთა სამინისტროსა და სხვა პუმანტარული ორგანიზაციების ძალისხმევა? სწორედ ამაზე ფიქრმა მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეს სტრუქტურები შევარდნამდე სპეციალურად შექმნა, რათა დევნილებს არ მიემართათ თავისი სატიკვარის თაობაზე აფხაზეთის რეალური (ჩვენ რომ **“დეფაქტოს”** ვეძახით) ხელისუფლებისათვის, რითაც კიდევ უფრო

დავმორდით აფხაზეთსა და აფხაზეთს! ხოლო სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოში მის მიერ წამოწყებული პროვოკაციული ომით რომ საბოლოოდ დაგვაკარგინა აფხაზეთი და სამაჩაბლო, ამაში დღეს უკვე აღარავის ეპარება ეჭვი.

ყველაფერს რომ თავი გაეხანებოთ, იქნებ ვინმემ ამისხნას, თუ როგორი სქემით უნდა ემუშავა თბილისში აფხაზეთის საბაჟო სამსახურს, ან, თუნდაც აფხაზეთის საგზაო პოლიციას? ვერავინ შემომედავება იმაში, რომ მთელი ეს სტრუქტურები გახლდათ ელზარდ შევარდნაძის მიერ საქართველოში დანერგული კორუფციული სპრუტის ერთ-ერთი მომხვეჭელური საცეცი.

ვიცი, არც მე მაპატიებენ ამ სიტყვებს, განსაკუთრებით თბილისში მოკალათებული **“აფხაზეთის მთავრობის”** მესვეურები, მაგრამ სიმართლე სიმართლეა და იგი აუცილებლად უნდა ითქვას, მით უმეტეს მაშინ, თუ ჩვენ ჯერ კიდევ ვაპირებთ აფხაზეთთან შერიგებასა და მათთან თანაცხოვრებას!

თქვენს მიერ აფხაზეთის ომამდე და ომის პერიოდში აღწერილი საბედისწერო მოვლენები და მოვლენათა შემდგომი განვითარება იმის უტყუარად დასკვნის საშუალებას გაძლევს, რომ დაახლოებით, წინასწარ შემუშავებული მოღალატეობრივი გეგმის საფუძველზე გასხვისდა აფხაზეთი და ამ ტრაგედიაში დიდი როლი სწორედაც რომ აფხაზეთის მაშინდელი ხელისუფლების ქართულმა ნაწილმა ითამაშა.

აფხაზეთის თემაზე დღეს ბევრი წერს, თავდარწმუნებულად გემოძვრავს და უხვად აფრქვევს არაფრისმთქმელ სენტენციებს. ამ თემაზე წერის უფლება კი მხოლოდ იმ ადამიანებს აქვთ, რომელმაც

საკუთარ თავზე გამოსცადეს მისი სუსხი და დღესაც სტკივით აფხაზეთი. თქვენზე მეტად ვინ განიცადა აფხაზეთი მაშინ, როცა ვიღაც უჯიშო გადამოივლიდა ატომმატი სასროლად მოვიდირათ, მასთან ერთად მყოფი აფხაზი ახალგაზრდა კი გადაგვფარათ და ჩვენ **“ბოგეგს”** უთხრა: – ამ კაცმა ჩემი ძმა გადამიძინა უეჭველ სიკვდილს და მას რომ თმის ღერი ჩამოუვარდეს, ცოცხლებს არ დაგტოვებთ არცერთსო!

აი, როგორი ადამიანი უნდა წერდეს აფხაზეთსა და აფხაზეთზე! თქვენ, როგორც ხელმძღვანელი დასტაქარი, საქართველოშიც კარგად გრძნობთ თავს, მაგრამ აფხაზეთი გტკივთ არა მხოლოდ იმიტომ, რომ იქ განისვენებენ თქვენი ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები, არამედ იმიტომ, აფხაზეთი თქვენი სულის ნაწილია და სული არასოდეს არ იყოფა!

ფაქტია, რომ ქართველებსა და აფხაზებს ერთმანეთი იმდენად არ ეჯავრებოდათ, რომ თოფები მიედირებინათ და მოხუცები, ქალები და ბავშვები ეხოცათ. წარუშლელია ამ ომით მიყენებული მიმეშობაბედილება, მაგრამ როცა მოვლენებს აფხაზეთი თქვენნაირი პირუთვნელი ადამიანები, კიდევ რჩება იმის იმედი, რომ ქართველები და აფხაზები ოდესმე მაინც მიუხსნდებით მოლაპარაკებათა მაგიდას.

თქვენი **“როგორ გასხვისდა აფხაზეთი”** ამის უტყუარი წინაპირობა გახლავთ! ამიტომაც გიძღვნის ქართული საზოგადოებრიობა, დიდ მაღლობას, თქვენ, ძმანაპო, ამ თავსმოხვეული სამარცხვინო ომის ჭეშმარიტი მიზეზების გამოძიებისთვის!

როლანდ ჯალაღანი, გაზეთ “ილოროს” მთავარი რედაქტორი

სამეგრელოს ღირსეული შვილები

მოგონებების ნამკითხველი ადვილად შეამჩნევს – ქართველი კაცის ღირსებასა და სიამაყეს გვანჯი ჩიქოვანი არასოდეს არ კარგავს, რა მდგომარეობაშიც უნდა იყოს, სადაც უნდა იმყოფებოდეს.

ალექსანდროვიკის ციხეში მოხვედრილი ტუსადი გაიგებს, რომ ამ სოფელში იმყოფება, ლაღად, თავისუფლად ცხოვრობს ერთი ქართველი პატიმარი, კატორღამისჯილი ვანო ჯორჯაძე, რომელსაც მეგობარი ქალის, მდიდარი და ქველმოქმედი მარი ინოკენტის ასული გორბუნცოვას მეშვეობით ციხის ადმინისტრაციაზე დიდი ზეგავლენა აქვს. ციხის უფროსს, პატიმრების შემონახვისას, თვალში მოუვა ვაჟკაციური შესახედაობის ახოვანი, ლაზათიანად ჩაცმული გვანჯი ჩიქოვანი და ეკითხება, იცნობს თუ არა იგი ვანო ჯორჯაძეს. გვანჯი პასუხობს, რომ არ იცნობს და დიდად დაუმაღლებს უფროსს, თუ იმ კაცს გააცნობს. თუკი თვითონ არ ციცორობს, შენთან რატომ უნდა მოვიდესო, ირონიულად დაეკითხება ციხის უფროსი. ამ კითხვას ისევე გვანჯის პასუხი მოსდევს, ამაყი, თავდაჯერებული: „თუ ჯორჯაძე ჩემს გვარს გაიგებს და ჩემთან მოსვლას არ მოილოდნენ, ეს იმას ნიშნავს, ქართველი არ ყოფილა...“ რამდენი რამის მაცნე და დამტკიცია ეს მოკლე ფრაზა.

უფროსის სახეზე კმაყოფილების ღიმილი გაკრთება, იგი საკნიდან გადის. ერთი საათის შემდეგ, გვანჯი ჩიქოვანის ნათქვამის ჭეშმარიტების დასტურად, მას იბარებენ კომენდატურაში, სადაც ვანო ჯორჯაძე ელოდება. ამ შეხვედრამ განსაცვიფრებელი შედეგი იქონია, ძირფსვიანად შეატრიალა ყმანვილი კაცის ბედი. ვანო ჯორჯაძემ, თავისი მეგობარი ქალის მეშვეობით, მაშინვე ციხიდან გაათავისუფლებინა გვანჯი ჩიქოვანი, კატორღისა და გადასახლების კვალბაზე მეფური პირობები შეუქმნა. ეს ყველაფერი ვასაოცარი სისწრაფით გაკეთდა. გვანჯი ჩიქოვანი ის კაცი არ გახლდათ, მხოლოდ საკუთარი თავისთვის ეშველა და არავინ გახსენებოდა. იგი მაშინვე იწყებს ზრუნვას, რომ ციხეში დარჩენილ ამხანაგებს დაეხმაროს, ტანჯვა შეუშუსუბუქოს. მარი გორბუნცოვას მოქმედება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ლამაზ, ჭკვიან, გავლენიან და ბუნებით კეთილ ქალს ყველაფერი შეუძლია, ყველანაირი მდგომარეობიდან იპოვის გამოსავალს. ეს ეპიზოდები დიდი სიმართლით, თანმიმდევრულად, დანერგვით არის მოთხრობილი.

სანიშნოა გვანჯი ჩიქოვანის დამოკიდებულება სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მიმართ. მისთვის, უპირველეს ყოვლისა, კაცის პირადი თვისებებია მთავარი და მის ეროვნებაზე საგანგებოდ არ ამახვილებს ყურადღებას. დავაკვირდეთ, როგორი სითბოთი და მადლიერებით გვიხატავს იგი უცნობ რუს კაპიტანს, კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც ჯერ როსტოვის ციხეში, შემდეგ კი მოსკოვის საპატიმროში გადაყვანილს, სიტყვის უთქმელად, სრულიად უანგაროდ ეხმარება.

სხვა შემთხვევაში გვანჯი ჩიქოვანი უსიამოვნო გრძობით იხსენებს შვარცხელ რუს მღვდელს, როცა ეს კაცთმოძულე „ღვთის მსახური“ ჩელიაბინსკში, მოედანზე შეკრებილ ბრბოს მოუწოდებს, გაუღიჯონ ებრაელები და კავკასიელები, როგორც რუსეთის იმპერატორის მოღალატეები. იქვე მდგარი ბრგე ტანის კავკასიელი ოფიცერი, გვარად ალიხანი, შეხლა-შემოხლის შემდეგ, ხმლით ნაცლის თავს ამ ბოროტად მოქადაგებს.

ერთი რამეც იმითავე საგრძნობია – გვანჯი ჩიქოვანის მონათხრობში სხვა საქართველო და სხვანაირი ქართველებს ვხედავთ. ეს ადამიანები, შეიძლება ითქვას, სულს უბერავენ ერთმანეთს, გაჭირვებაში ჩავარდნილი თვისტომის დასახსნელად, ხელის გასამართავად არაფერი იშურებენ. ცხადია, თითო-ორი უკეთური, დამსმენი და ჯაშუში მათაც გამოეჩინათ, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია იმ სიკეთესთან შედარებით, რასაც უცხოობაში მყოფი ქართველები ერთმანეთის მიმართ იჩენენ. ამის მრავალი შემთხვევა აღწერილია ირკუტსკში. სიმტკიცითა და სიმრავლით გამოირჩევა ხარბინის ქართველთა სათვისტომო, რომელსაც სათავაში ედგა ან გარდაცვლილი ცნობილი მწერლის, უპატრონესი მამულიშვილის ლევან ხანდრავას მამა ივლიანე ხანდრავა, რომელსაც ერთადერთი იმყოფებოდა მისი ძმა სამსონი (ჩვენი შესანიშნავი მახაიბის თათია ხანდრავას მამა). ივლიანე ხანდრავა მთავრობის წინააღმდეგ მოწყობილ არეუ-

ლობაში მონაწილეობის გამო, ყმანვილობისას, დაპატიმრეს ქუთაისში და შორეულ აღმოსავლეთში გადასახლეს. იქ მან ვაჭრობას მოჰკიდა ხელი, ამ საქმისათვის საჭირო უნარი გამოამჟღავნა, დიდადი ქონება დააგროვა და ბევრს უწევდა შემწეობას. გემიგია, ხარბინში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს ქართული გაზეთიც ჰქონდათ. ამ და სხვა მოვლენებს საგანგებოდ შესწავლა ესაჭიროება, თუკი ვინმე საამისო სურვილს გამოავლენს და შესაძლებლობაც ექნება.

გვანჯი ჩიქოვანს დიდი სიყვარულით ჰყავს დახატული იშვიათი სიკეთისა და გარეგნობის ვაჟკაცი, სავაჭრო საქმიანობის გამო ხარბინში დროებით მცხოვრები პლატონ დადიანი, რომლის მისამართი მას ირკუტსკელმა ქართველებმა მისცეს და პლატონთან დეჟურაც გააგზავნეს. რკინიგზის სადგურში ჟანდარმათა მკაცრი მეთვალყურეობა იყო და გვანჯი ჩიქოვანმა კარგა ხანს ვერ მოახერხა ხარბინში ჩასვლა, თვე-ნახევარი ლოდინი დასჭირდა. ერთხელაც საკვანძო სადგურ მანჯურიაში დაინახა ვაგონიდან გადმოსული, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი წარმოსადგეი ვაჟკაცი, რომელსაც პატარა ლამაზი ბიჭუნა ახლდა. გვანჯი ჩიქოვანმა მაშინვე იაზრა, რომ ეს იქნებოდა პლატონ დადიანი, რომელსაც თავისი რვა წლის ვაჟი თბილისში მიჰყავდა ქართულ გიმნაზიაში მისაბარებლად, რათა ყმანვილს მშობლიური ენა არ დაეინეგობდა.

ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

ეს ფაქტიც მრავლისმეტყველი გახლავთ. ძალზე ამაღლებულია მათი მოულოდნელი შეხვედრა და პლატონისგან გამოჩენილი გულსხმიერება და ძმური დახმარება, რისი წყალობითაც გატანჯულმა კაცმა ბოლოს ჩააღწია ხარბინში. თბილისელ დადიანებში როცა ვაჟიკითხე პლატონ დადიანის შემდგომი ბედი, მითხრეს, ოცდაჩვიდმეტში დახვრიტესო. ადვილი შესაძლებელია ასეც იყო, მაგრამ ამას მაინც დაზუსტება ესაჭიროება.

მოგონებებში მთელი გალერეა გვხვდება ღირსეული, კეთილშობილი ქართველებისა, მუდამ მზად რომ არიან გაჭირვებულთა დასახმარებლად. ირკუტსკში მცხოვრები ქართველებიდან სიკეთით, გულწრფელით გამოირჩევა ძეხვებით მოვაჭრე ნესტორ გვათუა, მალევე რომ გაკოტრდება და კვდება. აქ უთუოდ უნდა ვახსენოთ ხელმოკლედ მცხოვრები ბათუმელი კაცი ბიქტორ ლოლუა, რომელიც უკანასკნელ ლუკმას დათმობს, გადაწყვეტს ოჯახის ნივთები დააგროვოს, ოღონდ ხიფათიან გზაზე დამდგარ თვისტომს ცოტაოდენი ფული მისცეს. სტუმარი ამას არ დაანებებს, იმხანად უფულობას არ უჩივის. სწორედ ბიქტორ ლოლუას პასპორტით მიემგზავნება ბათუმიდან იქ მალულად ჩასული, გადასახლებაში მყოფი გვანჯი ჩიქოვანი. ასე ძმა არ გადასდებს ძმისთვის თავს.

მკითხველი ისედაც მიაქცევს ყურადღებას პირველი მსოფლიო ომის ეპიზოდებს, მაგრამ ჩვენ ერთ დამახასიათებელ შემთხვევას გამოვაცალკევებთ (ეს შემთხვევა ერთხელ უკვე ვახსენე). ჯოჯოხეთურ ბრძოლაში იღუპება პოლკის მეთაური, დიდძალი ვაჟკაცი კონია შერვაშიძე. თანამებრძოლი, ქართველი ძუკუ დგებუაძე მოკლულს იმ ცეცხლის ნიადაგში არ ტოვებს და ორთვალაზე დადებული მოაქვს. ამ დროს შეხვდებიან მას საგანგებოდ წასული გვანჯი ჩიქოვანი და მიხილ მხეიძე, მიცვალებულის გამოტანაში მიეშველებიან, გათენებისას ძლივს გამოვლენ სამწვიდროს. მალე იმასაც შეიტყობენ, რომ ძუკუ დგებუაძე უკან, ნანილში მიბრუნებისას (მან უნებართვოდ დატოვა ფრონტი) თავადაც იღუპება, მაგრამ მის უსულო, ჭკვიერობა და ცნობილულ სხეულს ვეღარ პოულობენ. სხვა ეროვნების ადამიანთათვის გაუგებარი, დაუფერებელია ის თავგამოდება, რასაც ქართველები იჩენენ კონია შერვაშიძის ცხედრის სამშობლოში წასასვენებლად. ამ სამგლოვიარო ცერემონიის აღწერას რამდენიმე გვერდი ეძღვნება.

გვანჯი ჩიქოვანის მონათხრობში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კარგად ჩანს ქართველების ერთი საქები თვისება – სამშობლოს მოშორებული სხვადასხვა კუთხის შვილები ერთ მუშტად არიან შეკრული, ერთმანეთს ეშველებიან, ქომაგობენ. ამავე დროს ვერც წრეგადასულ ქეიფსა და დროსტარებას ელევიან, მამა-პაპათა ჩვეულების კვალზე, ხშირად უჭირავთ ხელში ღვინოთ სავსე სასმისი, ისმის გაუთავებელი სადღეგრძელოები. გვანჯი ჩიქოვანიც მათთანაა, მაგრამ ამასთან ერთად იგი მოვალეობის კაცია, დაკისრებულ საქმეს მუდამ დროზე და პირნათლად ასრულებს, სიტყვას არასოდეს გატყნავს. ამიტომაც ყველგან პატივისცემით ეპყრობიან.

ამ ჩანაწერებში ცხადი ხდება – თვითონ გვანჯი ჩიქოვანი ქალეის მადევი კაცი არ ყოფილა, ხოლო თუ ისინი თავად მიეტანებოდნენ, მაშინაც შესაფერის თავდაჭერილობას იჩენდა, თავისი მომხიბლაობა და მიმზიდველი გარეგნობა ბოროტად, ანგარებით არავისთან გამოუყენებია.

ერთი სასიყვარულო, სამიჯნურო თავგადასავალი თვითონ საქამოდ ცოცხლად, სურათოვნად და გაუღაბდილად აქვს მოყოლილი. ხარბინში იმ დროს ქმართან ერთად იმყოფებოდა სილამაზით განთქმული უმდიდრესი პეტერბურგელი ქალი ალექსანდრა პოლტიკა (ეს ქმრის გვარია), რომლის გულის მონადირებას, საყვარლად გახდომას

ინტრიგებსა და ბოროტ ხლარებში გამობრძმედილი, პუშკინის საშინელი მოძულე იდალია პოლტიკა (იგი გრაფ გ. სტროგანოვის უკანონო ქალიშვილი იყო და მეუღლის, სამხედრო პირის გვარს ატარებდა), რომელსაც დიდი ბრალი მიუძღვის რუსეთის უპირველესი პოეტის დაღუპვაში – მან თავის ბინაზე, 1836 წლის 3 ოქტომბერს ერთმანეთს შეახვედრა დანტესი და ნატალია გონჩაროვა, რაც ჭკორებისა და მითქმა-მითქმის საბაბი გახდა. ეს, უბრალოდ, სიტყვას მოჰყვა, თორემ გვანჯი ჩიქოვანის მეგობარ ქალს, ლალსა და გულკეთილს, ბნელ და შხამით გატენილ იდალია პოლტიკასთან, პეტერბურგისა და ქმრის გვარის გარდა, არაფერი აკავშირებდა.

გვანჯი ჩიქოვანმა ირკუტსკშივე, ქალაქის ბაღში გაიწრო კდემამოსილი, საუცხოო გარეგნობისა და უაღრესად სათნო ბუნების რუსი გოგონა ნადეჟდა ნიკოლაევა, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ ცოლად იქმნა (საქართველოში ჩააცოხთა საცოლემ). ერთგან გვანჯი ამბობს, რომ მოხიბლა ნადეჟდა ნიკოლაევას განსაკუთრებულმა ქალოვნებამ. ეს სიტყვა „ქალოვნება“ ამ ფორმით არსად შეხვედრია და იგი უმდინეველით ესადაგება თვით გვანჯის შინაგან ბუნებას, მის ფაქიზ დამოკიდებულებას საყვარელი არსებისადმი. ნადია ნიკოლაევა მისი ცხოვრების უერთგულესი თანამგზავრი გახდა და მასთან ოთხი შვილი ეყოლა. მოგონებების ბოლო ნაწილში გვანჯი ჩიქოვანი სიყვარულითა და სითბოთი, მოუნელბელი მწუხარებით იგონებს მოამაგე, ნადრევად გარდაცვლილ ძვირფას მეუღლეს, ვის შემდეგაც მისი ცხოვრება ერთი გაბმული ტანჯვა იყო.

ბატონმა ვლადიმერ ჭანტურამ სოფელ ჭკადუშიდან წამოიღო და გამოსაქვეყნებლად გადმომცა ჩიქოვანების ოჯახის რამდენიმე იშვიათი ფოტო. ერთ მათგანზე ახლადშეუღლებული წყვილი — ნადეჟდა ნიკოლაევა და გვანჯი ჩიქოვანია აღბეჭდილი, ბედნიერები, ერთმანეთის საფერნი. სურათი ქალაქ ირკუტსკშია გადაღებული, 1907 წელს. ზედგვა ამოტიფრული ერთ დროს ოქროსფერი ფოლგით მოვარაგებული, იქაური ფოტოგრაფის გვარ-სახელი: გუსტავენენე.

ჩვენა საბედნიეროდ, გვანჯი ჩიქოვანი ერთი იმათგანი იყო, ვისაც „განცხრომით სხვაგან ყოფნას“ სამშობლოში სიკვდილი ერჩინა. ამიტომაცაა, თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, ყოველთვის და ყველგან ქართველად რჩება. სადაც უნდა იმყოფებოდეს, მეფური პატივი რომ მიაგონ და ოქროს მთები დაუდგან, გული მუდამ მამულისკენ მოუწევს. არანაირ ხიფათს და ფეთერაკს არ ერიდება, ოღონდ ნლობით უცხოეთში გადაკარგულმა, საქართველოს მინას დაადგას ფეხი და ქართული ლაპარაკი გაიგონოს, მშობლიური ჰაერი ჩაისუნთქოს.

რუსეთის იმპერიის გარდაუვალი კრახისა და მაშინდელი ქართველი ყოფის სურათი რამდენადმე ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, ცოტა ხნით ისევე უნდა მივბრუნდეთ რასაპუტინის მკვლელობას, რის შემდეგაც სამეფო ტახტი ძირფსვიანად შეტოტრტმანდა და უფსკრულისკენ დაქანდა.

მიუხედავად იმისა, გაცილებით მეტი ეცოდინებოდა, გვანჯი ჩიქოვანი ამ ეპოქალური მნიშვნელობის ფაქტს მხოლოდ რამდენიმე სტრიქონს უთმობს, მაგრამ აშკარად იგრძნობა, დედოფლის უცნაური ხასიათის, ნიკოლაის უნებისყოფობისა და რასაპუტინის გახმარებული ორგანიზაცია და პარპაშის გამო რა განწყობილება იყო რუსეთის ზედა ფენებში. იმჟამად რუმინეთის ფრონტზე მყოფი უნა დადიანი აშკარად უკმაყოფილოა და სკეპტიკურად განწყობილი. იგი შინაგანად ელოდა კატასტროფას, თუმცა თავის მხედრულ მოვალეობას პირნათლად იხდიდა. ეტყობა, რასაპუტინთან დაკავშირებულმა ამბებმა და მერე შეთქმულთა მიერ მისმა მოკვლამ უნა დადიანს საბოლოოდ გაუტყნა გული მისთვის ესოდენ ახლოდღე რომანოვა ხელისუფლებაზე და თებერლის რევოლუციას უყოყმანოდ დაუჭირა მხარი, „მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა“ უწოდა. მაშინ იგი ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა, რომ ამ რევოლუციის მოხდენიდან რვა თვის შემდეგ ბოლშევიკები მოექცოდნენ ხელისუფლების სათავეში.

მზარ კვიტაიშვილი
გარძელება შემდეგ ნომერში

“ანისტორია” – ისტორიის არცოდნა

მათარა – მთა მარტვილის რაიონში; მათურა – სოფელი მათური – უღელტეხილი დუშეთის რაიონში.

შინაბა – დაბა დუშეთის რაიონში; ჟინოთა – სოფელი მარტვილის რაიონში. ორივე მეგრული წარმომავლობის სახელწოდებებია; ჟინი – მალაღი.

ბორი, ბორითი – სოფლები ხარაგაულის რაიონში; ბორიძე () მდინარე ხარაგაულის რაიონში, ბორიძე () – მდინარე დუშეთის რაიონში; გრიგოლაანთკარი – სოფელი დუშეთის რაიონში; გრიგოლეთი – ლანჩხუთის რაიონში; გრიგოლიძე – სოფელი ზუგდიდის რაიონში.

ბახალაძე – სოფლები დუშეთისა და ხარაგაულის რაიონებში.

ხანოპანი – სოფელი გულრიფშის, ვანის, ნოხატაურის რაიონებში; ხენუბანი – სოფელი დუშეთის რაიონში.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დუშეთის რაიონისა და ისტორიული აფშილეთის (ოჩამჩირის, გულრიფშის რაიონების) ტოპონიმთა ერთგვაროვნება.

პაპა – მდინარე ოჩამჩირის რაიონში.

აფშილი (ისტორიული) – გულრიფშის, ოჩამჩირის რაიონებში და აფში – სოფელი დუშეთის რაიონში და აფში ამავე რაიონში.

და, ბოლოს, გასაცხადო:

არაფი – მდინარე და სოფელი გულრიფშის რაიონში და არღუნი – მდინარე და სოფელი დუშეთის რაიონში (ხევისურეთში). აქვე გაიხსენეთ “მახაურები, სიგაურები, მარშაულები, ქარსაულები, სვიაკაურები... თავს მალხებდ თვლიან, მელხესტეს თემს კი პირიქითა ხევისურეთის მეზობლად მიუთითებენ”. პირიქითა ხევისურეთის მეზობლად კი ქისტთა (მელხთა) არღუნისა და შარორაღუნის დასახლებებია. მდინარე არღუნი პირიქითა ხევისურეთში იწეება და ქალაქ არღუნთან მდინარე თერგს უერთდება. ვენახები იყენებდნენ ეტალონურ კოლხურ სიტყვას “ურემი”. არიგად, ხევისურები და მელხები (მალხები) მეზობლები არიან და ეს თემა თავად თქვენ განავითარეთ. ჩვენ იმას დაგუმატებთ, რომ სახელწოდება “ხევისური” კოლხური წარმომავლობისაა, და, კერძოდ, სახელწოდების მეორე ნაწილი “ური” მეგრული ენის კუთვნილებაა.

“ურს” მეგრულად ნიშნავს “სვლას”, “თინა ურს” – “ის მიდის”, “მეურს” – “მიდის”, “მეურმე” – “წამყვანი” (და აქედანაა

ქართული “ურემი, მეურვე, ურვა, მეურნე, მეურნეობა”). მეგრული “ურს” ხის მრავალ ქართულ სიტყვაში – “თხილაშური – თხილით მოდის, წიწაშური – წიწა მოდის (წვრილი ქვა მოჰყვება მიწას); ურია ეწოდებოდა ებრაელებს, ვინაიდან ისინი კარდაკარ დადიოდნენ სავაჭროდ”. სოფელიც არის ასეთი – ურიაკარი; ხევისური ნიშნავს ხევი მოსიარულეს.

ხევისურთ სიახლოვეს სამეგრელოსთან საუცხოოდ მიგვანიშნებს ი. ჯავახიშვილი: “ხევისურები თავიანთსა სცემენ აგრეთვე ერთ ღვთაებას, რომელსაც “ანატორი” ჰქვია: არავითარი ცნობა არ მოიპოვება იმის შესახებ, თუ სახელდობრ რომელ ღვთაებად არის მიჩნეული ეს “ანატორი” ხევისურეთში? მაგრამ ამის გამორკვევისათვის საყურადღებოა, ჩემის აზრით, ერთი ჩვეულება, რომელიც შემონახულია სამეგრელოში. დიდმარტვი წინა დღეს მეგრელები იხსენებენ ხოლმე ისეთ ღვთაებას, რომელსაც “ჟინი ანთარი”, ზენა ანთარი ეწოდება... ჩვენთვის ცხადია, რომ მეგრული “ანთარი” და ხევისურეთის “ანატორი” ერთიდაიგივე ღვთაება უნდა იყოს... ხევისურები ნაღობთ მფარველ ღვთაებას “ორპინტრე”-ს ეძახიან... გარკვეულად “ორპინტრე” (ანუ – “ორპინტრე”) თავისი გარეგნობითაც და აგებულებითაც მეგრული წარმართული რწმენის “ორკოჩ”-ს მიაგავს... “ორკოჩი” კი მეგრულად მამალ თხას, ესე იგი ვაცს აღნიშნავს... საქართველოში, მეტადრე XIII საუკუნემდე ძალიან გავრცელებული იყო საკუთარი სახელი “ანუჩი”... ამ საკუთარი სახელისგან წარმომდგარი უნდა იყოს სამეგრელოში გავრცელებული მამაკაცთა საკუთარი სახელი “გეაჩი”-ც, რომლისგან, თავის მხრივ, დასავლეთ საქართველოში ხშირი სახელი გოჩაა ნაწარმოები. შემდეგ “ოჩ” პროგრესული ასმილიაციის გზით უკვე “ორს”-დ არის ქცეული, როგორც იგი “ორფეხსა”-სა და “ორკოჩ”-შია წარმოდგენილი... (! ტომი, გვ. 122).

ხევისურულ “ანატორი”-სთან დაკავშირებით დაგუმატებთ, რომ, როგორც ვნახეთ, დუშეთის რაიონში არის მთა “ტყიბული”, ხოლო მარგველივის (აღმოსავლეთ სამეგრელოს) ქ. ტყიბულის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე არსებობს სოფელი “ანატორია” (ანტორიისა).

ასევე გაიხსენოთ ივანე ჯავახიშვილი: “საქართველოში წმინდა გიორგისათვის შეთქმულ ბავშვს “ბერს” ეძახიან; წმინდა

გიორგის ხატის მთავარ მსახურსაც ხომ ხევისური ერქვა; მაშასადამე, ყველა, ვისაც კი წმინდა გიორგის – მთავარი მსახურისა და მონობის (გეგუკორი – გეგეს მონა) აღიქმა ჰქონდა დადებულად, ბერად იწოდებოდა”. (ივ. ჯავახიშვილი, ტომი I, გვ. 95).

სახელწოდება “ლაშარის გორა” საერთო კოლხური ტრადიციისა და ასევე მარგველივიში (აღმოსავლეთ სამეგრელოში) “ლაშ”-ედან წარმოქმნილი სახელწოდების ფოთოლცვენაა. 200-მდე სახელწოდებაა, რომლებიც ეწოდებოთ სოფლებს, მინდორებს, ვენახებს, ფერდობებს, წყაროებს, დედეებს... – ლაშე, ლაშები, ლაშტყე, ლაშედლე, ლაშისხევი, ლაშისტბა და ლაშების გორა. “ლაშ” კოლხურად ნიშნავს მზეს, ხოლო ფორმა “ლაშარი” ასევე უძველესი კოლხური ფორმაა – ჭანარი, ზანარი, კეთილარი (სოფელი აბაშის რაიონში), ოდიშარი, ხოშტარი-ა, და ლაშარი გამოდის “მზეარი”.

“ფშავთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ “კარკაცი” დამოწმებულია ფშავურ დიალექტში “თავისი თავის კარგა გამოჩენა სხვის წინ” (გ. შატბერაშვილი, რომი IV, გვ. 377).

“კარკაცი” მეგრულად ნიშნავს ხმადაღდა სიცილს (ქალისას), უფრო შეეფარდება კისკისს. სიტყვა “კარკაცი” ქართულმა ენამ არ იცის, ხოლო ფშავური “კარკაცობა” და მეგრული “კარკაცი” ერთიდაიგივე მნიშვნელობისა არიან. “ხევისური” გამონაკლისები არ არის, როდესაც სიტყვა “ხევი” ურთიერთკავშირშია მეგრულ სიტყვასთან. “მდინარე ჩარგლურას (სოფელ ჩარგალში) პატარა შენაკადს ჭიჭა-ხევა ჰქვია. ოკრიაში კი პატარა ჭუჭურტანას ჭიჭიპალას ეძახიან”. გ. შატბერაშვილი იძლევა ზუსტ განმარტებას, რომ “ჭიჭა-ხევის” პირველი ნაწილის “ჭიჭა”-ს ფშავურ მეგრული “ჭიჭე” – პატარა და “ჭიჭახევი” – პატარა ხევი. გ. შატბერაშვილი გვაწვდის აგრეთვე სხვა ქართულ სიტყვებსაც, რომელთა ფშავი იგივე “ჭიჭე”-ა. (ს.ს.ტიტლა – მცირე საღვინე, ჭიჭმატა – მეტად წვრილი მძივი, ჭიჭყინა – წვრილი თევზი, ჭიჭყინი – გოჭხმინობა. ქართლში ითქმის – “ჭიჭლები” – პატარაობიდან.

სახელწოდება “ჩარგალი” ასევე კოლხურია – “ჩარგა”-ლი და გვარები “ჩარგა”-ხია, ჩარგე-შივილი. ასევე მარგალი. “ჩარგალი” და “მარგალი” ორივე რეგასთანაა კავშირში. გ. შატბერაშვილი წერს: “აღ. ჭინჭარაული თავის წიგნში წერს: “როცა

მოზგის მოხმობა უნდათ, ხევისურები “გერი გერი”-ს ეძახიან მას. მეწველი ძროხა რომ რბეს არ იძლევა, მას აძლევენ მარხის, რომელსაც საგერებს უწოდებენ, ეს იგივე ძირი ჩანს, რაც ჭანური გენი (ჟენი), ნ-ჯენი, მეგრ. გენი (გინი) და სვანური ღუნ (ხბო)”.
ქართულში “მოწველა” გამოითქმის როგორც მო-გე-რი-ს-ე-ბ-ა; კახურად: და-გერ-ე-ბ-ა, ხევისურულად: გერ-ე-ბ-ა; ფშავურად: გირ-ე-ბ-ა; პანკისურად: მო-გირ-ე-ბ-ა; იმერულად: გენეა, გამო-გენ-ვა (ასევე გურულად).

ასევე “გერი” (“ცოლ-ქმარში ერთ-ერთის შვილი”) – ბავშვია.
სავლეთისხმოა აგრეთვე ქართულ კილოებში გავრცელებული სიტყვა “ნაგერალი”, რაც წინა წელს მიწაში ჩარჩენილ თესვზე აღმოცენებულს ნიშნავს (შდრ. გ. შარაძის გურული დიქციონარის “ანაგერაი” და მეგრული “ნანგერე”).

“გერ” ქართულში დამკვიდრდა მეგრული “გენ”-იდან და ნიშნავს “ხბო”-ს. თავად სიტყვა “გენი” მეგრულში ბერძნულიდან შემოსული სიტყვაა.
venva (გენა) – 1. Род, происхождение. 2. род, племя. 3. поколение. 4. отпрыск, потомство.

აქედანვეა ასევე “ქართული” სიტყვა “გენეტიკა”.
მთაში დამკვიდრდა სიტყვა “ლიაცი”. “ლაშაზი არის საცქერლად, ღიაცის უბესავითა”.

როგორც არსებობენ სიტყვები “მამაკაცი” და “დედა-კაცი”, უნდა არსებულყოფილ “მამა-ცი” და “დედა-ცი”, მაგრამ ქართულმა ენამ მეგრული “და” – “დედა” ირჩია, ისევე როგორც სიტყვაში “ღია-სახლისი”, ნაცვლად “დედა-სახლისისა”.
მთიელთა მეტყველებაზე მეგრული გრამატიკის გავლენის მაგალითებს მოვყვანივთ გავცნობით.

მეგრული გვარების ტოპონიმია სრულიად საქართველოშია მიმოხვეული, მაგრამ გამოჩენილი არაგვის ხეობაა. კოლხურია მდინარის სახელწოდება “არაგვი”, “წიწა-მური”, “ზედაზენი”, “ჭოპორტი”, “ჟინგინი”... და ამ ცოდნამ უნდა მოგვახვედროს, რომ იმ სამას არაგველში, სამშობლოს ზვარაკად რომ შეეწინენ, ტომით მეგრულნი არ იქნებოდნენ უმცირესობაში.

წინააღმდეგობა და ბოლოს სიკვდილით დასაჯეს. ქეთევანის ნეშტის ნაწილი, გავრცელებული ცნობების თანახმად, ქრისტიანთა მისიონერებმა ინდოეთში, კერძოდ გოაში წაიღეს და წმინდა აგუსტინეს ეკლესიაში დაასვენეს. მას შემდეგ არქეოლოგთა და ისტორიკოსთა მრავალი ექსპედიცია გაემართა ინდოეთში, მაგრამ საქართველოს წმინდანი დედოფლის ნეშტის ნარჩენები ვერაინ ვერ აღმოაჩინა.

ამას წინათ კი ფრიად სასიხარულო ამბავი მოვიდა ინდოეთიდან – სწორედ ნანგრევებად ქცეულ წმინდა აგუსტინეს ეკლესიაში აღმოაჩინეს არქეოლოგებმა ქვის ზარდახში შენახული მკლავის ძვალი. მიტოქონდრიული ანალიზის შედეგების მიხედვით, ძვალი, დიდი ალბათობით, ქეთევან დედოფალს უნდა ეკუთვნოდეს.

ჯუნი (ჯუზუბა) კაკულია

“წრებრუნვა” სიყვარულის ორბიტაზე

გამოვიდა ცნობილი ქართველი მოღვაწის, თავისი კუთხისა და სრულიად საქართველოს დიდი გულშემატკივრისა და ღირსეული შვილის ბატონ რინოს კვარაცხელიას წიგნი “წრებრუნვა”, რომელიც დიდად დააინტერესებს ქართული ლიტერატურის მოყვარულებს.

წიგნის რედაქტორი ბატონი თამაზ ფიფია თავის ვრცელ წინასიტყვაობაში აღნიშნავს: “წრებრუნვა” ტკივილის აფრის” დიდებული გაგრძელებაა: წინა წიგნი თუ 70 წლის პოეტის დედაწლის შეჯამება იყო, ამ კრებულში შემდგომი წლების ლექსებია შეკრებილი... კვლავაც სამშობლოს გულშემატკივრობა, სპეტაკი სათქმელი გულის უსათუთესი სიმების აფერებაა მისთვის უმთავრესი, კვლავაც ლექსებშია ჩაუნჯებული მისი ბიოგრაფია და ლექსიდან ლექსში ჩანს როგორ ყალიბდება იგი დღევანდელობის პირუთვნელ, უკომპრომისო მიმომხილველად”.

და მართლაც, ამ უშიშარი და მწარე ბედს შეუვრებელი ადამიანის გულზე გადაიარა წუთის-სოფლის დაუნდობელმა ქარბორბალამ, მაგრამ მან შესძლო ვაჟაცურად გამკლავებოდა მრავალ განსაცდელს და შემართებულად განაგრძო ეკლიანი გზა ჭეშმარიტების დასამკვიდრებლად.

სამშობლოსა და მშობლიური ხალხისადმი დიდი რუდუნება და გულისტკივილი გამოკრთის მის ყოველი აპკარიდან, თუდაც ასეთია:

“მერმისზე ფიქრში დამეც თეთრად უნდა ათენო – გადაჯიშებას გიპირებენ, ფრთხილად, ქართველო!”

შემოქმედის სისადავეზე, ჭირთათმენის შესაშურ უნარზე, მის ბავშვურ დამოკიდებულებაზე გარემოსა და გარემოებებისადმი მიანიშნებს მისადმი გაგზავნილი ახლობელის ერთ-ერთი ბარათი: “შვილო, რინოს!

თქვენი გულისტკივილის სულის სილამაზეში გადატანის წიგნი ახლახან მივიღე. მე რომ მგლოვიარე და ასაკის ტყვე არ ვიყო, მადლობის სათქმელად პირადად გამოვცხადებოდი თქვენთან, მუხლებზე დავდებოდი და ისე ამოგიწმინდდი ცრემლებს დედის თბილი ხელით და დედის მკერდის სურნელსა გაგრძობინებდი.

შვილო, რინოს, შენი ტრაგიკული ბედი ქვეყანამ გაიზიარა, სანამ ეს წიგნი გამოვიდოდა. თქვენ თქვენი მწუხარება ისეთ ლამაზ ფერებში დახატეთ, თქვენი შვილები ცოცხლების მსგავსად რჩებიან და ჩვენს შემდეგაც დარჩებიან... გუსურვებ ჩვენს ერს თქვენისთანა ლამაზი სულის ადამიანები მოუმრავლოს, რომლებიც თქვენსავით გააგრძელებენ ქართული პოეზიის გენიალურ უკვდავებას.

გთხოვთ ქალბატონობით არ მომმართოთ, მე ასე მიჩვენია.

თქვენი მამო დეიდა, კვიციანი-აქუბარდია,


15 მარტი, 1993 წელი”

ღიას, მრავალჭირგადატანილი,

ტრაგიკული ბედის მქონე რინოს კვარაცხელია გახლავთ ის უდრეკი ბუნების მქონე ადამიანი, რომელიც სამეგრელოს აუგად მომხსენებელში სრულიად საქართველოს აუგად მომხსენებელსა და მომტერო კლემენტს ხელდას და ამას ადასტურებს ღრმა მეცნიერული კონცეფციების მოშველიებით და არა როყოოდ, დაუსაბუთებლად.

ვერაფერმა შეაყვია რინოსი კვარაცხელიას მრწამსი – ვერც უმიძმესმა წლებმა და თავაუდებულმა შრომამ, ვერც მავანთა მუქარებმა, ვერც მატერიალურმა გაჭირვებამ, ვერც წლების სიმრავლემ...

კვლავაც ტიტანივითაა შემდგარი მშობლიური ქვეყნის თაღს და ურყევად უკავია იგი! დაე, კიდევ მრავალი ათეული წელი გაელოოს ამ შემართებოთ! გაზეთი “ილორი”



რინოს კვარაცხელია

ინდოეთში ქეთევან წამებულის ნეშტის ნაწილი აღმოაჩინეს

საქართველოსათვის უმიძმეს ვაშს მოუწია დედოფლობა ქეთევანს. ეს იყო დრო, როცა საქართველოს გადაყლაპვას უპირებდა ორი გეოგრაფი – აღმოსავლეთიდან სპარსეთი და დასავლეთიდან ოსმალეთი. სწორედ ამ ორ ძალას შორის უჭევდათ ბალანსის დაჭერა საქართველოს მმართველებს, დართა მათი სისუსტე სამშობლოს ტრაგედიად არ ქცეულიყო, ისინი არჩევდნენ საკუთარ სიცოცხლის გაწირვას. სწორედ ამ მიძმედროს მითხროვა მსხვერპლი მუდამ სისხლს დახარბებულმა მტერმა და ამ მსხვერპლის მისია საქართველოს დედოფალ ქეთევანს ერგო...

მკლავის ძვალი, რომელიც ქართველმა და ინდოელმა არქეოლოგებმა გოაში, წმინდა აგუსტინეს ნანგრევებად ქცეულ ეკლესიაში აღმოაჩინეს, სავარაუდოდ საქართველოს წმინდანი დედოფალს, ქეთევან წამებულს ეკუთვნის.

მე-17 საუკუნის დასაწყისში, სპარსთა 10-წლიან ტყვეობაში მყოფი კახეთის დედოფალი ქეთევანი, რომელიც, მიუხედავად სპარსეთის მთავარი ტარულის, ტომით ქართველი იმამ-ყული ხან უნდილაძის ხევეწა მუდარისა, უარს აცხადებდა შამაბას მეორის ცოლობასა და გამუსლიმანებაზე, სპარსეთის გულქვა და სასტიკი მმართველის ბრძანებით ქალაქის მთავარ მოედანზე გაიყვანეს, ჯერ გააშთველეს, შემდეგ სასტიკად,



აწამეს და ბოლოს სიკვდილით დასაჯეს. ქეთევანის ნეშტის ნაწილი, გავრცელებული ცნობების თანახმად, ქრისტიანთა მისიონერებმა ინდოეთში, კერძოდ გოაში წაიღეს და წმინდა აგუსტინეს ეკლესიაში დაასვენეს. მას შემდეგ არქეოლოგთა და ისტორიკოსთა მრავალი ექსპედიცია გაემართა ინდოეთში, მაგრამ საქართველოს წმინდანი დედოფლის ნეშტის ნარჩენები ვერაინ ვერ აღმოაჩინა.

ამას წინათ კი ფრიად სასიხარულო ამბავი მოვიდა ინდოეთიდან – სწორედ ნანგრევებად ქცეულ წმინდა აგუსტინეს ეკლესიაში აღმოაჩინეს არქეოლოგებმა ქვის ზარდახში შენახული მკლავის ძვალი. მიტოქონდრიული ანალიზის შედეგების მიხედვით, ძვალი, დიდი ალბათობით, ქეთევან დედოფალს უნდა ეკუთვნოდეს.



ვინა ყოფილხართ, ბატონო თენგიზ კუბლაშვილი?...

პატივცემულ მითხველს ალბათ გაუკვირდება ამგვარი სათაური, მარა ის ვინც გაეცნო იმ ერესს, რაც ამ „დემოკრატმა“ დეპუტატმა გახეთ „ილორის“ (17-24/12-2013) ფურცლებიდან გადმოარქვია, დახაზვად ამოთანხმება, რომ ეს კითხვა სავსებით რეზონანსულია.

როცა ავტორის მკრეხელურ, დაუნდობელ სტრიქონებს გავეცანი, იგი ისე გავს იმ გახეთ „ასავალ დასავალში“ გამოქვეყნებულ პასკვილს, ბნ თენგიზის რომ წაუკითხავს და ასე აღუშფოთლებია, ვიფიქრო კაცო, ამას, სხვა მოვლილი გვართი, ისევე ხუბუა ხომ არ წერს-თქო. აბა, როგორ დამეჯერებინა ამგვარ უმისამართო და უგვანო ცილისწამებებს დემოკრატია უმადლესი საბჭოს დეპუტატი შექადებდა. მეგრე, რაკი მოყვარული ეტიმოლოგისტი გახლავართ, უნებლიედ გვარს დაგაკვირდი: კუბლა-შვილი: ბიჭოს! შვილი ხომ მხოლოდ გვარის ნაწარმოებელია, რჩება კუბლა, რომელიც, ნებისმიერი ენათმეცნიერი დამოთანხმება, ზუსტი ქართვ. ენობრივი კანონზომიერებით > კუბულა და ხუბულა ფორმებს აღადგენს. ანუ, ერთ დროს, კუბლა-შვილის წინაპარი სამეგრელოში ფრიად გავრცელებული და სახელგანთავსი გვარი ხუბულა ყოფილა.

ასე რომ ავტორები არათუ ნაწერებით, არამედ გვარებითაც მსგავსნი (ხუბ-უა და ხუბ-ულა ერთ ხუბ ძირზე აღმოცენებული გვარები არიან) ყოფილან.

ეს ბატონი როგორც ხუბუა ზუსტად იმავე სტელში და მეთოდებით – ფაქტების უსირცხვილო დამახინჯებით, ცრუ იარაღების მიკერებით და საზიზღარი ცილისწამებებით მასწავლებს...

“...ლაგებოდა მეგრულთა არქართველობაზე (– სად როდის ვილაკებ, დიდო ცენხორო, ეს სისულელე? ვინმეში ხომ არ გუშლებით?...), სამეგრელოს დამოუკიდებლობაზე (– რომელ-მა ჩიტმა მოგიტანათ ეს ამბავი?... ეს ხომ საზიზღარი ცილისწამებია...) არახანია. ისიც კარგადაა ცნობილი რა განაჩენი გამოუტანა ისტორიამ მეგრული სეპარატიზმის მქადაგებელთა...” ხალხო, ხელაუთ, სეპარატისტი ხარ და დაგხებერეო, აბა, ჩამოხრთობილის ოჯახში თოკს როდის იყო ახსენებდნენ: ვიცით, ბატონო ეს ისტორია, რომელიც ჭეშმარიტი დემოკრატიისთვის სატრაბახო კი არა სატირალია.

თუ ქრისტეანი ხართ, თუ ადამიანური მორალი გვაჩინათ, დაახსნელოთ ის მეგრული სეპარატისტიკები, “რომლებსაც ისტორიამ განაჩენი გამოუტანა”. ვერ დაახსნელებ იმ-იტომ რომ ისინი, ამაში თქვენმა ნაწერმა დამარწმუნა, მხლოდ და მხოლოდ ცილისწამების მსხვერპლი ყოფილან და უდანაშაულოდ დაუსჯიან. თქვენ კი ახლაც არ ასვენებთ, ისევე ცილს სწამებთ...თუ ეს ასე არაა მოიყვანეთ ფაქტები და დაამტკიცეთ, რომ ორჯონიკიძეს პირსისხლიანი ჯაღალათები იყენებ მართლები და არა ისინი, უდანაშაულოდ დასჯილნი.

“...ბატონო ვდემ იხორავი თქვენ აცხადებთ რომ მეგრელები პრობლემური ვართ...”

რა შეიძლება ამაზე ვთქვა? აი, სამდვიოდ ქართული ანდაზა რომაა: ბალზე ხის და ვაშლსა ჭამსო ეგავა: რა ვერი, ეგ როდის ვთქვი მე პირასაქედმა?... კი მარა მეგრელი

ერის (თქვენი სიტყვებია) წინააღმდეგ ავმხე-რდნი ანუ საკუთარ თავში ქვა ვისახლე თუ რა?...

მე ვამბობ: მეგრული ენა პრობლემად, ბარიერად მიიჩნიათ-თქო და ამის საწინააღმდეგოდ ვილაშქრებ-თქო; მეგრული ენა როგორც ნებისმიერი სხვა ენა ადამიანთა დაკავშირების საშუალებაა-თქო; დაშლას კი არა დაკავშირებას ემსახურება-თქო; ამიტომ უნდა დავიცვაოთ-თქო. თქვენ კი აქეთ შემომბრუნეთ? კი მარა რა ნაშუსით?... დიახ, მეგრული ენა უნდა დავიცვაოთ. ამისთვის ვაკეთებ ჩვენ პერმანენტულ და ღია შეკრებებს ზუღიდის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში. იქ ამ საკითხის განხილვისას სხვადასხვა ხასიათის მოსაზრებები გამოითქმება, მაგრამ ეს ხომ დემოკრატიული პროცესია. მაგ. მე ვთვლი, რომ ენა რომ გადარჩეს აუცილებელია სამეგრელოში საშუალო განათლების სრული კურსის პირველი ნახევარი მეგრულ ენაზე გადავიდეს, მეგრე კი – იქნება ქართულად. ყველას თავისი მოსაზრება გააჩნია, მაგრამ განა ყველა საკვებობროტო საკითხი ასე არ წყდება?... თქვენ რამ გაცდოდათ?...

თუ მართლა ჭეშმარიტი სიყვარულით ხართ გამსჭვალული სამეგრელოსადმი და მეგრული ენისადმი, თუ მართლა პატრიოტი და დემოკრატი ბრძანდებით, ჩამობრძანდით ზუგდიდში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, სადაც მეგრული ენის მომავლის საკითხებზე შეკრებები გაგრძელდება. ვიმსჯელოთ. იქნებ უკეთესი ვარიანტები ამ ენის გადარჩენისა თქვენ შემოგვთავაზოთ. განა არსებობს ცნობიერება ენის გარეშე? და თუ ბატონ კონსტანტინე თოლუას სურდეს ქონდეს საკუთარი ენა და ამ ენაზე ბაზირებული ცნობიერება და ამის მისაღწევ ოპტიმალურ ვარიანტად თვლიდეს სამეგრელოს ავტონომიას (კულტურული თუ პოლიტიკური მას არ დაუხსნაყლებია) რაა ამაში დემოკრატიისთვის მიუღებელი? მარა ის ვინც ამას თვლის სეპარატიზმად და დასჯად ქმედებად, აი, ის სუბიექტი ვინაა ბატონო დეპუტატი. უფრო მეტსაც გეტყვი, ის ვინც არა თუ ავრე თვლის არამედ ვოლუტარისტულად აყალებებს რა (ბნ კონსტანტინეს თითქოს ეთქვას “...სამეგრელომ ეროვნული დამოუკიდებლობა უნდა მოიპოვოს...”) ცილისწამებით ამძიმებს სიტუაციას არის კი ბატონო დეპუტატი ის დემოკრატი?...

დამოთანხმებით, ამაზე პასუხს თქვენზე უკეთ ვერავინ უპასუხებს. დემოკრატია ნუ ქნას და, თუ ასე არ თვლით, გულწრფელად გთხოვთ, დადებით სარკის წინ და მიუღიო რწმენით დრმად ჩაიხედეთ თქვენი სულის ყველა კუნჭულში, და უუჭველად დაინახებთ, რომ, დიახ, თქვენზე უკეთ ამ კითხვას ვერავინ უპასუხებს...

ამიტომაც აქვს ამ წერილს ასეთი სათაური, ბატონო თენგიზ. გული რომ არ დაგწვიდეთ, ახლა შემოგთავაზებ – თუ ვინ არის ედემ იხორავი. როგორი შეხედულება ჰქონდა ბატონ ედემ იხორავს ჯერ კიდევ 1991 წელს, ქართველურ ენებზე. გთავაზობთ ინტერვიუს შემოკლებული სახით. მას ესაუბრა ჟურნალისტი ჯამბულ არქანიანი.

– ქართველურ ენებზე მსჯელობისას მა-

ვანთაგან მსმენია, რომ მეგრული ენა თავის-თავადი, ჩამოყალიბებული ენაა, თქვენ როგორ მიგაჩნიათ?

– მეცნიერებაში მიღებულია მოსაზრება, რომ მეგრული ენა არის პირობითად აღებული ზანური ენის დიალექტი, ასევეა ჭანური ენაც. ხოლო ჭანური და მეგრული ერთმანეთთან მიმართ დიალექტებია, თუმცა საგულისხმოა, რომ ამ საკითხისადმი მეცნიერთა დამოკიდებულება არაერთგვაროვანია: კერძოდ თვლიან, რომ უკვე ორივე ენა ჭანური და მეგრული ერთმანეთთან მიმართებაშიც ცალ-ცალკე მონათესავე ენებია. ჩემი დრმა რწმენით კი, მეგრული თავის-თავადი ენაა და თანაც ფენომენალური.

– ეთილი, მაგრამ არ შეიძლება არ გეითხოვო: რა არგუმენტები გაგაჩნიათ თქვენი მოსაზრებების სამტყვებლად?

– ...დადგენილი მაქვს, რომ მეგრულ ენაში, ადამიანის მეორე სასიგნალო სისტემის ჩამოყალიბების საწყისი პერიოდის დროინდელი ბგერული შემორჩენილია; ე. ი. იმ დროის ბგერები, როცა ადამიანს მეტყველება ჯერაც არ შეეძლო, მაგრამ ბუნების მოვლენებთან, ბგერით გამოვლინებებთან დაკავშირებით, ცდილობდა ამ მოვლენების ხმის ანუ ბგერითი რხევების სიგნალად გამოყენებას.

მაგალითად: მეგრულში დღესაც წყლის აღმნიშვნელი ერთ-ერთი ფორმაა “წა”, რომელიც წარმოიქმნა წოვის ფიზიოლოგიური პროცესის დროს წარმოქმნილი ბგერითი რხევების (ხმის) ადამიანის სამეტყველო ორგანოთა მიერ გადმოღებით, იმიტირებით. ასევეა “ჟ”, რომელიც ნიშნავს სველს, სისველს და იმიტირებულია ფოთლოვანი შრიალსა თუ წყლის ხმაურისაგან. მსგავსი მაგალითები უამრავია.

(შენიშვნა: კარგია რომ დღეს ქართველურ ენებში ხმაბაბეთი ძირთა სიუხვეზე ბგერი საუბრობს, მაგრამ მხოლოდ ამ პასაჟიდან ჩანს თუ ვინ დასვე პირველად ეს საკითხი ე. იხორავი 2013 წ.)...

– თქვენ ალბათ გახსოვთ ორიოდე წლის წინანდელი ჩვენი პრესის ფურცლებიდან, რომ რუსეთში მოღვაწე ერთი ცნობილ პროფესორს მშობლიურ ენად მხოლოდ მეგრული დაუსახელებია, რამაც საზოგადოების უარყოფითი რეაქცია გამოიწვია და, ვფიქრობ, სამართლიანადაც. საინტერესოა თქვენი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით.

– მე ვთვლი, რომ იმ პროფესორმა უბრალოდ არ იცოდა ქართული, უფრო სწორედ, მან არ იცოდა მეგრული და რუსულის გარდა სხვა ენა და ამიტომ არ მოიხსენია მშობლიურ ენად ქართული. ჩემთვის იგივე პირობებში იგივე რომ გეითხოვთ უპასუხებდი: რა თქმა უნდა, ჩემთვის მშობლიურია მეგრული ენა, მაგრამ ჩემთვის ასევე მშობლიურია ქართული, სვანური, ლაზური, მიუხედავად იმისა, რო, შესაძლებელია, მე მათ არათანაბრად ვფლობდე ... ყველა ქართველი უნდა მისწავლიდეს შეისწავლოს, შეიმეცნოს, გაიმშობლიუროს ჩვენი ერის ყველაზე უნიკალური განძი – ჩვენი ენები, ჩვენი თქმები და ა.შ. ასეთია ჩვენი მითაფხიდან მომდინარე, ვაერთხონცეული ისტორიული ბედი. ვინც იცის, არ უთქვია მარა, იქნებ სწორედ ამას

გულისხმობდა ზემოთხსენებული პროფესორი?

– გამოდის რომ, თქვენთვის მშობლიურია ოთხი ენა?!

– რა თქმა უნდა, ჩვენთვის სამწუხაროდ არაა თანაბრად მშობლიური მეგრული, ქართული, სვანური, ლაზური, მაგრამ მე მინდა, ჩემმა შეილებმა და შეილი შეილებმა, ჩვენმა მომავალმა თაობებმა ისე აითვისონ და გაითავისონ ეს ენები, რომ მათ თამამად შეეძლოთ თქვან, ნებისმიერი ქართველური ენების მიმართ, მშობლიურიაო. სწორედ მაშინ მოეხსნება ყოველ ქართველს ყველაზე სანუკვარი სიმდიდრის – ქართველური ენების მიმართ გაუცხოების სინდრომი და შეიქმნება უმშენიერესი და უძლიერესი ენა მსოფლიოში.

– როგორ ფიქრობთ, რას უქადის ხვალის დელი დღე მეგრულ ენას?

– ყოველგვარი მოიარების გარეშე უნდა ვთქვა: ჩვენ (მხედველობაში მყავს ჩვენი რეგიონის მოსახლეობა) შეგვჩვიეს მრავალგვარ გაუცხოებასა და ნაილიზმს, მაგრამ ყველაზე უარესია ის, რომ ჩვენზე ვიგიწვებთ და უარყოფით ამ მშენიერ ენას. ეს კი მას კარგს არაფერს უქადის. თუ ჩვენ არ შემოებრუნდით მისკენ სახით, ის დაიღუპება და დაიშრტება საერთოქართველურის ერთ-ერთი უდიდესი შენაკადი.

– საკმაოდ თამამი მსჯელობაა, მაგანმა და მაგანმა სეპარატისტიო რომ წამოგაძახოთ, რას უპასუხებდით?

– “სეპარატი” ლათინური სიტყვაა და მოკვეთას, მოჭრას, განკვეთას ნიშნავს. მე მოკვეთის და მოჭრის კი არა, განმრთელების, გაერთიანების, მლოცველი და მნატრელი გახლავართ, მაგრამ იმისათვის, რომ იყო ერთიანი და ძლიერი, საჭიროა ამ ერთიანობაში მყოფი ელემენტი იყოს სადი, დიდი და ქმედითი. ქართველურ ტომთა სიდიადე და სიძლიერე – ეს იგივე საქართველოს სიდიადეა, ხოლო ვინც სხვანაირად ფიქრობს, სწორედ ის გახლავთ სეპარატისტი.

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მეგრული ენის შრეებსაც იკვლევთ. რას გეტყვით ამ მიმართულებით?

– ძალიან მინდა არ ვიყო “გაბედული” მოსაუბრის როლში, მაგრამ ისიც არ შემიძლია დავმალო, თუ რა მიმე ტერითს შეგვიდებია. ჩემთვის, როგორც ექიმისათვის მუშაობა მეორე სასიგნალო სისტემის ჩამოყალიბების პრობლემებზე არაა დიდიტანტობა, მაგრამ მასთან დაკავშირებული მეცნიერული მიმართებები ჩემს სპეციალობას არ განეკუთვნება, მიუხედავად ამისა, ჩემი, ზემოთ გამოთქმული მოსაზრებანი, მეგრული ენის შესახებ დაახლოებით ორი ათეული წლის ნაფიქრალ-ნაზარების შედეგია. დამიგროვდა საკმაოდ დიდი მოცულობის საფონდო მასალა, რაც განზოგადებას ანალიზსა და სინთეზს მოითხოვს. შედეგი მომავლის საქმეა. ენასოთ...

– დემოკრატია ხელი მოგიმართო.

გაზეთი “ოლიმპი” 1991 წლის 6 ივნისი. აი, ბატონო თენგიზ, თქვენთვის პასუხი გაცემული მაქვს ჯერ კიდევ 1991 წელს და ამიტომ საუბარს ამით მოვრჩეთ.

ელემი იხორავი

ახსახეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ თ. ხუბუას; ახსახეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს ბატონ ე. კვარაცხელიას; ასლი: საქართველოს მთავარ პროკურორს ასლი: ახსახეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ გ. შოლბაიას; ასლი: ახსახეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს ბატონ ჯ. ბამახარას; ასლი: ახსახეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ბატონ დ. მუსხიას; ასლი: არასამთავრობო ორგანიზაცია “ვეროვის დემოკრატიული ცენტრის” ბაგეშვილის წევრს ბატონ ი. კაკაბაძეს; ასლი: საქართველოს მემკვიდრეობის დეპარტამენტს

სერბი საჯიას – მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრის, მცხ. თბილისში, ვახიშვიანის, შანდორ პეტაშის 17

ბანცხალაბა

ბატონებო, ბოლო დროს, ქვეყანაში ამინდის სტიქიურ შინაარსში გადახდისა და შესაბამისად, მოსახლეობისთვის თავს-დამტყდარი სირთულეების ვითარებაში საქართველოს საზოგადოებრიობის აღშფოთების მიზეზი გახდა აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ავთანდილ ბერიძის მიერ ძვირადღირებული სასამსახურო მანქანის შესყიდვის მცდელობა, ანუ მოცდა იმისთვის, რომ, როდესაც სახელმწიფოში, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, ქუდზე კაცის წესით გამოცხადებულია სახალხო დარაზმულობა, ესოდენ მაღალი თანამდებობის პირი დასაქმებულია საკუთარი საფუფუნეო პირობების შესაქმნელად.

შეგახსენებთ, რომ ეს საკითხი, ერთი კვირია, რაც საყოველთაო გაკიცხვისა და დაგმობის მიზეზად იქცა.

ყოველივე ამის გასწვრივ არანაკლებია კი არა, უფრო მასშტაბური, თაღლითური, ამდენად ამაზრზევი გახლავთ ის უხუნობა, რომელიც ამ სამი წლის წინ ჩაიდინა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გია (ელგუჯა) გვაზავამ, როცა საკუთარი, იმხანად კანონდამცველთა თვალის ახსევნად სხვაზე გადაფორმებული ავტომანქანა მისი

ნამდვილი ღირებულების თაღლითური გაზრდით სასამსახურო მოხმარებისათვის შეიძინა. აქვე აღვნიშნავ, რომ ძვირადღირებული სასამსახურო მანქანა გ. გვაზავამ წინა წელსაც საეჭვო ფასში შეიძინა, ამავე დროს, როგორც მაშინ გახმაურდა, როგორც ერთ შემთხვევაში, ასევე მეორე ჯერზეც ამ ყიდვა-გაყიდვების დროს მას ბიუჯეტიდან დიდი ოდენობით თანხები მიუთვისებია.

სამწუხაროდ, თქვენ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებისა და დეპუტატების ერთი ნაწილი, მოქმედებით რა “ფირმის ინტერესების დაცვის” ე. წ. კორპორაციული სოლიდარობის წესით, აქედან გამომდინარე, ამ ამის მსგავსი საქციელებისადმი თქვენი დანაშაულებრივი (ნებით თუ უნებლიედ) წაყრუებით ხელს უწყობდით, ის კი არადა, ზოგიერთ შემთხვევაში ხელს აფარებდით აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ვალბისქმნელთა და თაღლითთა მიერ დაქსელული ელიტური კორუფციის, რომელიც გამოიხატა მთელ რიგ ფინანსურ დარღვევებსა თუ ბიუჯეტიდან სახელმწიფო თანხების დატაცებაში.

ამასთან დაკავშირებით თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის ზედამხედველობით, შესაბამისმა სამართალდამცემმა სამ-


სახურებმა დაიწვეს საქმის შესწავლა, მოწმის სახით დაკითხა არაერთი თანამდებობის პირი, ძიება მიმდინარეობს და როგორც ჩანს, ძნელად და ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ ბოროტმოქმედთა მხილება გარდუვალი გახდება (ეს მხოლოდ დროის საკითხი გახლავთ).

ასეთ პირობებში, ვინაიდან დღემდე არაერთი დოკუმენტი გ. გვაზავას მითითებით სახელდახელოდ გაყალბდა, უფრო მეტიც, სათანადო საბუთები ხელოვნურად მორგეს სასურველს და ეს პროცესი დღემდე თავუტყვებლად გრძელდება, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, მოგმართავთ რა თქვენ, დაბეჯითებით გთხოვთ, განიხილოთ საკითხი ძიების განმავლობაში უფლებამოსილება შეუწყდეთ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს გ. გვაზავას, მის მოადგილეს ა. წოწინავას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს, პრეზიდიუმის წევრს დ. გვაძაბიას, როგორც ელიტური კორუფციის ორგანიზატორებსა და მასში დანაშაულებრივი საქმიანობით გამორჩეულებს.

პატივისცემით,

ს. საჯიას,
მწერალი, ზვიად გამსახურდიას, ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი შარვაშიძის პრემიათა ლაურეატი

საკორტულო კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალაღანიას "თემურ ქეცაიას ახალი გუნდის შემოსის გამოცდილება და ხელვა არა აქვს!"



მიხეილ ყაველაშვილი სამშობლოში დეკემბრის დასაწყისში რამდენიმე დღით დაბრუნდა. ბოლო წლებში ვეტერანი ფეხბურთელი ციურისში ცხოვრობს და ამავე ქალაქში მდებარე ფიფას შტაბის ხშირი სტუმარიც გახლავთ. იგი ამჯერადც დაესწრობა წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენ გალა-დონისიძის, რომელსაც ციურისი 13 იანვარს უმასპინძლებს.

სახალწლოდ ისევ ჩამოვალ თბილისში, მერე კი შვეიცარიაში დაბრუნდები. წელსაც ვარ მიწვეული "ოქროს ბურთის" მფლობელის გამოსავლენ გალა-დონისიძისა და მისი გუნდის წევრების მიხედვით...

თუ მხოლოდ ოთხი წელიწადია, რაც ასეთ ღონისძიებებს ესწრებით, მხოლოდ ლიონელ მესის ტრიუმფის მოწმე ყოფილხართ...

მართალი ხართ, მაგრამ არა მგონია, წელსაც იგივე განმეორდეს. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ერთ-ერთი ვარ იმ მცირერიცხოვან ქართველთაგან, ვინც ყოველ წელს ესწრება ამ ღონისძიებას...

ფიფა-უეფაში საქმეც შევიცარიული საათითაც აქვთ აწყობილი და არც ასეთი ღონისძიებების გამართვა ეშლება, მაგრამ ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ: რა არის დღეს ქართული ფეხბურთის მთავარი პრობლემა?

ის მანიკერი სისტემა, რომელიც ქართულ ფეხბურთს მართავს - თუ შეიძლება ამას სისტემა და მართვა დაარქვა... ფეხბურთი ყველა სხვა ქვეყანაში ვითარდება, საქართველოში კი, პროგრესს ვინ ჩივის, უკან მივიდვართ.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ ქართულ ფეხბურთში დასაქმებულთა უმეტესობა ამ მანიკერი სისტემის ნაწილია - ზოგი ნებით, დანარჩენებს კი სხვა გზა არა აქვთ... ერთ ქართულ კლუბს, ფეხბურთელს ან მწვრთნელს მაინც დამისახელებთ, ვინც თუნდაც ერთი წლის განმავლობაში მაინც ასერხებს წარმატებულად მუშაობას? გია გვექნადის "ხესტაფონის" შემდეგ გინახავთ ასეთი გუნდი? მხოლოდ ორ-სამთვიან გამონათებებს ვხედავთ...

ასაკობრივი ნაკრებების წარმატებული თამაში ვისი დამსახურებაა?

ბოლო წლებში, ესპანელების საფეხბურთო ფილოსოფია ყველასთვის მისაბაძია. მათი ყველა ნაკრები ერთი კონცეფციით, ერთი და იმავე სტილით თამაშობს. ასაკის შესაბამისად, ყველა ესპანელი ფეხბურთელი მაქსიმალურად განათლებულია, ჩვენთან კი... მიუხედავად იმისა, რომ ელიტარულში ხედავინ, სამწუხაროდ, ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელებს აკლიათ ის საფეხბურთო განათლება, რაც მათ თანატოლ ესპანელებს აქვთ. თორემ ნიკოტა, შესაძლოა, ქართველები სჯობდნენ კიდევ! ბავშვების სწორად აღზრდა უნდა ვისწავლოთ, თორემ ხომ აშკარაა, რომ ასეთ ვითარებაში დამწვები ფეხბურთელები ვერ მიიღებენ ისეთ საფეხბურთო განათლებას, როგორსაც მოზარდები ესპანეთში ან გერმანიაში იღებენ...

ამისთვის სისტემური ცვლილებებია აუცილებელი...

მერედა, ვინ უნდა შეცვალოს სისტემა? გუნდმა, ვინც მოვა და თავიდანვე იტყვის, რომ პასუხისმგებელია ქართულ ფეხბურთში მომხდარ ყველა მოვლენაზე! ვინც მოსვლისთანავე გააგებინებს საფეხბურთო სამყაროს, რა პროგრამით აპირებს

მუშაობას... ქართული ფეხბურთის ამჟამინდელი მმართველები კი... თანამდებობაზე რომ მოვიდნენ, მერე მოხდა მათი გვეგების გარკვევა. უფრო სწორად, კი არ "მოვიდნენ", მოიყვანეს და დასვეს!

სწორად გვესაყვედურობენ ხოლმე - საქმით გვეჩვენეთ, რა შეგიძლიათო, მაგრამ დღეს ხომ მხოლოდ რიგითი გულშემატკივრები ვართ? თუ იქნება არჩევნები და ჩემი გუნდით ვიქნები ქართული ფეხბურთის სათავეში, მაშინ პასუხისმგებლობასაც ავიღებ, მაგრამ ვინც ახლა მართავს ფედერაციას, თუ არაფერზე არ არის პასუხისმგებელი, მაშინ რა ფუნქცია აქვს?!

თქვენგან სულ გვემის, რომ სფფ-ის მოქმედი პრეზიდენტი დანიშნულია და არა არჩეული. როგორ ფიქრობთ, 2015 წლის არჩევნები მაინც იქნება სამართლიანი?

საკითხის ასე დასმა არასწორად მიმანია, რაზეც უკვე ვილაპარაკე. ის კითხვები 2015 წელს კი არა, ყოველდღიურად არის დასასმელი და ახლა იმით არ ვახშიანებ, რომ მაინც დამინც დღესვე მინდა არჩევნები. დღევანდელ კითხვებზე პასუხები დღესვე უნდა მივიღო!

როგორი არჩევნები ჩატარდება, ეს საფეხბურთო საზოგადოებაზე დამოკიდებულია. თუ დღეს დაეწვებთ, ნაბიჯ-ნაბიჯ მივათ სამართლიან არჩევნებამდე. დელეგატებმა, ვისაც ხმის უფლება აქვთ, უნდა დაინახონ, რომ საზოგადოებას ფეხბურთი უყვარს და ვერ უნდა გაბედონ უსამართლო გადაწყვეტილებების მიღება...

სიჭინავსაც უთხრეს - სინდისში ჩაიხედეთ... ჩაიხედა და მუშაობას დღემდე აგრძელებს! ფიქრობთ, რომ დელეგატებს სინდისი სხვა რამეს უკარნახებს?

პესიმისტები არ უნდა ვიყოთ! შურნალისტებმაც უფრო პრინციპულად უნდა დასვან კითხვები... ფეხბურთში ვერ ვერკვეთ, სიჭინავა რომ ამბობს, ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში ამის გაგონების-თანავე დააყენებდნენ მისი პასუხისმგებლობის საკითხს! ფეხბურთი თუ არ

გვემის, მის მმართველად მოსვლას როგორ ბედავ?

რისი ბრალია ყველაფერი ის, რაც ბოლო დროს ეროვნული გუნდის გარშემო ხდება?

ჯოხის მხოლოდ ქეცაიაზე გადატეხა არასწორად მიმანია. იმ ფონზე, რაც ქართულ ფეხბურთშია, ილუზიონისტი უნდა იყო, ნაკრებს გამართული ფეხბურთის თამაში დააწვებინო და მით უმეტეს - მსოფლიო ჩემპიონატზე გაიყვანო! ქეცაიას გულწრფელობასა და პროფესიონალიზმში ეჭვი არ მეპარება. როცა ნაკრებში მოდიოდა, თავისი იმიჯიც ჰქონდა და სურვილიც, რაღაც გამოეწვრობინა, მაგრამ ხომ უნდა გაითვალისწინო, რომ სამუშაოდ მიდიხარ ქვეყანაში, სადაც არც ფეხბურთის განვითარების პროგრამა არსებობს, არც ბავშვთა ფეხბურთი და არც ნორმალური ეროვნული ჩემპიონატი? თუმცა, რაზეც ლაპარაკი, როცა სფფ-ის თავკაცი, ანუ ის, ვისი უშუალო მოვალეობაც ნაკრების მწვრთნელის არჩევაა, ამბობს, ჩემთვის არც კონტრაქტის პირობები უკითხავთ, არც მწვრთნელის ვინაობა, უბრალოდ, კონტრაქტი გამაფორმებინესო...

პირველ წელს ხომ ჰქონდა ქეცაიას შედეგი, მერე რა მოხდა?

როცა ნაკრებს წარმატებული სერია ჰქონდა, მაშინაც ვამბობდი - ასეთი ფეხბურთი ჩვენთვის დამდუგველია-მეთქი. ამ კონტინენტში მეტი რა გააკეთოსო?! ვინც დანიშნა, ხომ უნდა გაეთვალისწინებინა, რომ თემურს არ ჰქონდა ახალგაზრდა ფეხბურთელებთან მუშაობის, ახალი გუნდის შექმნის გამოცდილება? შესაძლოა, გამოცდილი, ჩამოყალიბებული ფეხბურთელებისგან შეძლოს ორგანიზებული, დისციპლინირებული, მოტივირებული კოლექტივის ჩამოყალიბება, მაგრამ ვიმეორებ: ახალი გუნდის შექმნის გამოცდილება და ხედავ თემურს არა აქვს! ამიტომ ვამბობდი, რომ იმ ფეხბურთს, რასაც თუნდაც წაუგებელი სერიისას აწვენებდა ნაკრები, მომავალი არა აქვს. ვამბობდით კიდევ, რატომ არის ეს გზა მცდარი...

რ. შუმბაია

ზუბდიდის მარტივ-მამრავლებად დაყოფას ზუბდიდელები არ მიუხალმობიან!

ამას წინათ მიგვიწვიეს ზუბდიდის შალვა დადიანის სახელობის თეატრში, სადაც იხილებოდა კანონპროექტი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. 2000 წლის შემდეგ პირველად ვნახე სხვადასხვა პარტიული კუთვნილების, ასაკის, ყოფილი თუ მოქმედი ხელმძღვანელი მუშაკები ერთად შეკრებილი, რათა ერთობლივად ემსჯელოთ ქვეყნისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან კანონპროექტზე. ეს ჩემთვის მეტად სასიამოვნო იყო. ამასთან მადლობა მინდა მოვასხენო ბატონ დავით ნარმაიას, რომელმაც ასეთი ფართო ხასიათი მისცა კანონპროექტის განხილვას. ყველას შეეძლო თავისი აზრი გამოეთქვა და ერთი გამონაკლისის გარდა ყველაფერზე იყო საუბარი. ეს ერთი გამონაკლისი ის გახლდათ, რომ არავის დაუხვია კითხვა: რამდენად იყო მომზადებული საფუძვლები ამ რეფორმისათვის და იყო თუ არა მისაღები ზუბდიდელებისათვის ზუბდიდის მარტივ მამრავლებად დაშლა. ვერც მე მოვასწარი ამასე კითხვა მაინც დამესვა დარბაზში მსხდომთათვის და ეს მოხდა უბრალო მიზეზის გამო - დარბაზში მსხდომთაგან, ვიწრო წრის გარდა, აღნიშნული კანონპროექტი არავის არ ჰქონდა ნანახიც კი. მას შემდეგ რამდენიმე დღე დამჭირდა რათა ეს პროექტი წამეკითხა, ბევრმა ზუბდიდელებმა წაიკითხა და ვისაც ვთხოვეთ თავისი აზრი გამოეთქვა, ვერ აღმოვაჩინე ერთი კაციც კი, რომელიც მომხრე იყო ზუბდიდის მარტივ მამრავლებად დაშლისა. რაც შეეხება ზუბდიდისათვის ქალაქის სტატუსის მინიჭებას, ეს ჯერ კიდევ კომუნისტების დროს - 1967 წელს მიენიჭა ზუბდიდს და მის აღდგენას დიდი ხანია ზუბდიდელები ცდილობენ.

თუ კანონპროექტი ამ სახით იქნა მიღებული მიმანია, რომ დეცენტრალიზაციის ნაცვლად პირველ ეტაპზე მივიღებთ სუპერ ცენტრალიზებულ სისტემას. ყოფილი ზუბდიდის მუნიციპალიტეტიდან თბილისში სიარული მოუწევს არა ერთი ორგანოს, არამედ 6-8 სუბიექტის წარმომადგენელს, და ქვეყანაში არსებული რესურსებიდან და საგარეო ვალდებულებების გადახდის აუცილებლობიდან გამომდინარე, თუ დასჭირდათ ისინი ტრანსფერის სახით ვერაფერს მიიღებენ სასიკეთოს.

იქნებ ჯობდეს ხელისუფლებას ჯერ გადაეწვიტა ქონების, საკუთრებისა და მიწის გადასახადთან დაკავშირებული მეტად მნიშვნელოვანი საკითხები, შეედგინა მიწის კადასტრი, გაკეთებულიყო სოფლების მიხედვით სათანადო ეკონომიკური და ფინანსური ანალიზი, რა მოცულობის საზოგადოებრივი პროდუქტის შემქმნელია ესა თუ ის სოფელი, რა ფინანსური შემოსავლები და ხარჯები ექნება მის ბიუჯეტს. შეესწავლა საზოგადოებრივი აზრი იმ საზოგადოებისა ვისი სახელითაც სწორად გე მომდგრავენ, როცა დასჭირდებათ. ამდგარი ანალიზისა და შეფასების გარეშე ამ უდიდესი მნიშვნელობის რეფორმამ შესაძლებელია თვით-დისკრედიტაცია განიცადოს მოსახლეობის თვალწინ.

რატომღაც ეჭვი მეპარება იმაში, რომ ყოველივე ამას, შესაძლებელია, ადგილობრივი ხელისუფლების „მოთხოვნით“, მოჰყვეს სოფლად მიწის გადასახადის მნიშვნელოვანი ზრდა. ვისაც ეს არ ჯერა ამას პარლამენტის მორიგი არჩევნების შემდეგ სულ მალე ვნახავთ.

რეზაზ ცაავა, ეკონომისტი, ზუბდიდი

უკვე გამოვიდა შურნალ „აია“-ს მომდგენო ნომერი, რომლის მთავარი რადაქტორია ბატონი ბიორბი სიჭინავა.

შურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ თბილისში, ტაშკენტის ქუჩა №25-ში, I სადარბაზო, ბინა 1.

ზუბდიდში, ფოთში, სობში, სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, აბაშაში და მარტვილში შურნალის შექმნა შეგიძლიათ სახალხო მოძრაობა „სამმბრელო“-ს წარმომადგენლობაში.

შურნალის ფასია 4 ლარი

სახალხო მოძრაობა „სამმბრელო“-ს ზუბდიდის ორგანიზაცია უდიდესი გულსიტყვილით იუწყება, რომ 80 წლის ასაკში გარდაიცვალა გასული საუკუნის 60-იან წლებში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი არაღვალური ჯგუფის დამაარსებელი, ყოფილი პოლიტპატიმარი, დისიდენტი, სამოციანელების ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობამდე ზუბდიდის რაიონის პრეფექტი

ინლიკო ქობალია
და სამიძარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.
უფალმა გაანათლოს მისი სული.

სახალხო მოძრაობა „სამმბრელო“-ს ზუბდიდის ორგანიზაცია თანაგრძობას უცხადებს ნანა აღმაშისას ბიძის

დავით (დუდუმა) აღმაშისას
გარდაცვალების გამო.

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №8 სარ.ბ. №01018002930 234-32-95

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანია**

ტიპნოგრაფი რედაქტორი: **მიხეილ ჩოლოყაშვილი**

გაზეთის მენეჯერი: **ზურაბ ქობალია** 599-34-37-27

სარედაქციო საბჭო: **ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუპლაშვილი, კლიმენტი შალია, ბივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, ბიორბი სიჭინავა, ნუზუარ სალაყაია (ბალი)**

გაზეთი "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე www.saqinform.ge